ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 4 მარტი, 2019 №52 (8006) ფასი: 60 თეთრი

## აკაკი ზოიძე: „გასახვევ თამბაქოზე აქციზი უნდა გაიზარდოს“



გვ.4

1 მარტიდან
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები
შოდერლო დე ლაკლო
სახიფათო კავშირები
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



# მიხეილ სააკაშვილი: „ანაკლიაში ახალი სოხუმი უნდა ამეშენებინა“



გვ.2

საქართველოს მესამე პრეზიდენტი რომში ემიგრანტებს შეხვდა

„ბიძინა ივანიშვილი 2020 წლამდე თუ დარჩება, ჩვენ მივიღებთ 2.5-მილიონიან პენსიონერებითა და ჩინოვნიკებით დასახლებულ ქვეყანას“





## აგროვებდა თუ არა გახარია ეპისკოპოსებზე კომპრომატებს

მეუფე იაკობი: „ამერიკელებს ვუთხარი, მიგვიღეთ ნატოში და უკრაინის ავტოკეფალიას ვაღიარებთო“ გვ.5



## დავით ბაქრაძე: „ჩვენი ამოცანაა, „ოცნების“ ყველა ნაწილი სახლში გავუშვათ“



გვ.3

### სამართალი გვ.7



დიდმა ბრიტანეთმა საქართველოს ჯეკ შეფერდის ექსტრადირება მოსთხოვა



პროკურატურამ ზესტაფონის გამგებლის ყოფილი მოადგილე ხ.გ. დააკავა



ზუგდიდში ლიბერთი ბანკის ინკასაციაზე თავდასხმისას 100.000 ლარი გაიტაცეს

ლავას ოღლისთან და სხვა კანონიერ ქურდებთან კავშირის გამო სენაკსა და ფოთში 3 კაცი დააკავეს

### ეკონომიკა გვ.6

მამუკა სალუქვაძე: „ინვესტორები თბილისში პერიფერიებისკენ გადაინაცვლებენ“



საქართველოს ბანკსა და ბანკის მეანაბრეებს რომან ფიფიასთან არსებული დავა ვერ შეეხებათ გვ.5



„კომერციული ფართები გვ.6 ყველაზე მეტად აღმაშენებლის გამზირზე დაცარიელდა“

ISSN 1987-9385

5 რატომ გაახსენდა ლუკაშენკოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონები?

6 სიმონ ნოზაძე: „რუსეთს არ აქვს საქართველოს საქმეებში ჩარევის უფლება“

8 ტრამპი: „2020-ში უფრო დამაჯერებლად გავიმარჯვებ“

3 სოსო ცინცაძე: „ოცნების“ დაშლა ადრე უნდა დაწყებულიყო“

# სააკაშვილი: „ანაკლიაში ახალი სოხუმი უნდა ამეშენებინა“

## საქართველოს მესამე პრეზიდენტი რომში ემიგრანტებს შეხვდა

შორენა მარსაგიშვილი

ქართველების მიერ აწიოკებული ლიეჟის პოლიციას აშკარად სერიოზული კონსულტაციები ჰქონდა რომაელ სამართალდამცავებთან. ამიტომაც მსოფლიო დედაქალაქში ნაციონალებისა და „ოცნების“ მხარდამჭერების შერკინება შედარებით მსუბუქად წარიმართა.

მიხეილ სააკაშვილისა და ქართველი ემიგრანტების შეხვედრა რომის ერთ-ერთ ისტორიულ შენობაში – სასტუმრო „პალაცო ნაიადოში“ შედგა. ორგანიზატორების განცხადებით, ეს არის რომის ცენტრალური ადგილი, სადაც გადაადგილდება პოლიცია. თვითონ ეს შენობა არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და 24 საათი იცავს სპეცრაზმი.

სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქართველმა გლადიატორებმა რომი ლიეჟივით ვერ ააწიოკეს.

არადა, ამ სანახაობისთვის საქართველოს მოქმედი და ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერები აქტიურად ემზადებოდნენ. საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თქმით, სწორედ ამ საქმეების მოსაგვარებლად იმყოფებოდა კახა კალაძე რამდენიმე დღით იტალიაში.

ვის და რა დავალებები მისცა ყოფილმა ნაციონალმა და მოქმედმა მეოცნებე მერმა, უცნობია. 3 მარტის ამბებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ნაციონალებმაც საკმაოდ კარგად იმუშავეს. სააკაშვილი თავის მხარდამჭერებამდე მშვიდობიანად მივიდა, იმდენად მშვიდად, რომ მსოფლიო დედაქალაქის პოლიციას სოციალურ ქსელში მადლობები უხადა.

– რომში პოლიცია, განსხვავებით ლიეჟისგან, მართლა უმაღლეს დონეზე მუშაობს. ჯერჯერობით იდეალური წესრიგია ჩვენი შეხვედრის ადგილის გარშემო. მე უკვე დარბაზში ვარ და დავიწყე ცალკეულ ჯგუფებთან შეხვედრა. მართლა ძალიან საინტერესო ხალხია ჩამოსული, ველოდები მაგარ დისკუსიას, – დაწერა შეხვედრაზე მისულმა სააკაშვილმა.

მართალია, რომის პოლიციას საქართველოს მესამე პრეზიდენტმა დითირამბები უმღერა, მაგრამ მთლად ასე მშვიდადაც არ მისულა თავის მომხრე ემიგრანტებთან. ემიგრანტების ნაწილმა მას საპროტესტო აქცია მოუწყო. მისმა მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს.

მესამე პრეზიდენტის მომხრეები ძალიან ამაყად გრძნობდნენ თავს. ერთი ქალი ვარდით იყო მისული.

– ეს ვარდი მიშას უნდა გადავცე, ვარდით მოვიდა და ისევ ვარდით უნდა მივიღოთ, ჩავეხუტოთ და მოვეფეროთ, – აღნიშნა მედიასთან საუბარში ვარდიანმა ქალმა.

რომის ქუჩებში გუშინ პლაკატიანი ქართველი ქალებიც გამოჩნდნენ. პლაკატები კაცებსაც ეკავათ. „არა ძალადობას!“ – ეწერა ერთ-ერთ პლაკატზე. პლაკატებიანი ქართველები სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმს აპროტესტებდნენ.

ისინი შეხვედრაზე შესვლასაც შეეცადნენ, მაგრამ ლიეჟელი კოლეგებისგან გაფრთხილებული რომაელი პოლიციელები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. მათ პლაკატიანი ადამიანები შენობაში არ შეუშვეს და ქუჩის მეორე მხარეს აიძულეს გადასვლა.

ამის შემდეგ პლაკატიანებმა ქუჩის იქითა მხრიდან დაგმეს სააკაშვილი, მისი რეჟიმი და მხარდამჭერები.

რომაელ პოლიციელებზე არანაკლებად კარგად იმუშავეს სააკაშვილის მომხრეებმა. ისინი საეჭვო პირებს „პალაცო ნაიადოში“ არ უშვებდნენ.

საეჭვო ხალხად ჩათვალეს ჟურნალისტები და ისინი დარბაზში არ შეუშვეს. შეხვედრის გაშუქების უფლება მხოლოდ ოპერატორებს მიეცათ.

შეხვედრის ორგანიზატორმა გიორგი სიგუამ თავიდან მედიის წარმომადგენლებს უთხრა, რომ აკრედიტებული ჟურნალისტები შეხვედრაზე შესვლას მოახერხებდნენ, თუმცა ამ განცხადებიდან რამდენიმე წუთში სიგუამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ისინი შეხვედრაზე ვერ მოხვდებოდნენ.

ჟურნალისტების ბედი გაიზიარა აკრედიტაციაგავლილი ემიგრანტების ნაწილმაც. როგორც ემიგრანტებმა პირველ არხს განუცხადეს, მათ რეგისტრაცია გავლილი ჰქონდათ, თუმცა, იმის გამო არ შეუშვეს, რომ განსხვავებული პოზიცია უნდა დაეფიქსირებინათ.

ამის გამო მათ შეხვედრის ორგანიზატორებთან დაპირისპირებაც მოუვიდათ. მხარეებს მხოლოდ სიტყვიერი დაპირისპირების საშუალება მიეცათ, რადგანაც შემთხვევის ადგილზე მალე გამოჩნდა პოლიცია, რომელსაც საშველად შეხვედრის ორგანიზატორებმა უხმეს.

სააკაშვილის მხარდამჭერები ჟურნალისტებს მუშაობაში ხელს უშლიდნენ. რამდენიმე ადამიანი მედიას კომენტარების ჩაწერის საშუალებასაც კი აძლევდა..

– ჩვენ მოვედით სიყვარულთან და არა კომენტარების გასაკეთებლად, – ამის შესახებ სააკაშვილის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა განაცხადა.

ის სხვა ემიგრანტებს პირველ არხთან კომენტარის გაკეთების საშუალებას არ აძლევდა.

პირველი არხის ჟურნალისტმა სააკაშვილის მხარდამჭერს ჰკითხა, როდესაც რესპონდენტთან ინტერვიუს წერდა, რატომ უდგებოდა მათ ზურგით, რაზეც ემიგრანტმა უპასუხა, რომ ასე იყო საჭირო.

მანამდე მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთმა მხარდამჭერმა აღნიშნა, რომ შეხვედრაზე საქართველოს ყოფილს პრეზიდენტს იდეებს გაუზიარებენ და ეტყვიან, რომ ღირსეული მამულიშვილია.

მიხეილ სააკაშვილი იტალიელი სამართალდამცავების მუშაობით აშკარად კმაყოფილი ჩანდა. მან პოლიციელებს მადლობა ემიგრანტებთან შეხვედრის მიმდინარეობის დროსაც გადაუხადა.

მისი თქმით, ლიეჟისგან განსხვავებით, საქართველოდან ჩასულმა ჯგუფმა შეხვედრაზე არეულობის მოწყობა ვერ შეძლო.

– ზრდილობიანად გასწიეს ის ხალხი და ახლა იყვირონ სისხლიანი იტალია და ასე შემდეგ, – განაცხადა ამაყმა და ბედნიერმა სააკაშვილმა.

რომის პოლიციის მოსიყვარულების შემდეგ მესამე პრეზიდენტმა საქართველოს აწმყოსა და მომავალზეც ისაუბრა.

მისი განცხადებით, ემიგრანტებთან შეხვედრების მიზანი არის ერთადერთი, რომ სამშობლოდან გადახვეწილებთან ისაუბროს იმაზე, თუ რა პრობლემების წინაშე დგას დღეს საქართველო.

ნაპრეზიდენტალი აცხადებს, რომ დღეს ქვეყანა მთლიანად დგას ემიგრანტების გადარიცხულ ფულსა და ტურიზმზე, რომელიც მან დატოვა.

მისი განცხადებით, ისეთი მიგრაცია, როგორსაც ადგილი ჰქონდა 2012 წლიდან, საქართველოს არ ახსოვს.

შეხვედრაზე მან ანაკლიაზეც ისაუბრა. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ანაკლიის პორტი ქვეყნის ეკონომიკას მნიშვნელოვნად განავითარებდა, თუმცა ის თიბისის იმის გამო აჩუქეს, რომ თიბისიში 50 მილიონის აქციები ივანიშვილმა იყიდა.

– როდესაც ეს იდეა გამოვაცხადეთ და როდესაც ჩვენ დავიწყეთ ამის მშენებლობა, საფუძველი უკვე ჩაყრილი იყო, ბევრმა ჩემმა თანამებრძოლმა ჩათვალა, რომ ეს გაგიჟდა, როგორც ახლა ამბობენ, ხელისუფლებამ თავში დაარტყა, მეგალომანიაკია, გიჟია.

მე იმაზე არ ვლაპარაკობ, ივანიშვილის რუსული პროპაგანდა რას აკეთებდა. ჩვენი თანამებრძოლები, ვინც მე მიყვარს და ვმეგობრობ, ზოგი გულში და ზოგი ღიად ამას ამბობდა.

სინამდვილეში არის ძალიან მარტივი რაღაც. საქართველოს სჭირდება დიდი გარღვევა. ჩვენ დავკარგეთ წარმოუდგენელი რაოდენობის დრო. მოდით, დავიწყოთ მშენებლობა; ანაკლიის განვითარება დავიწყოთ. ანაკლიაში თავიდან ჩემი იდეა იყო ეს. იცით, ბევრი სხვადასხვა რამიდან ვიღებ იდეებს, – უთხრა სააკაშვილმა ემიგრანტებს.

ანაკლიის ტერიტორიაზე სასტუმრო „აფხაზეთის“ ანალოგი 4-5-ვარსკვლავიანი შენობა უნდა ყოფილიყო.

– ჩვენ გვაქვს აფხაზეთი, სადაც ჯერჯერობით ვერ ვაკონტროლებთ. მოსახლეობისგან დაცლილია, მაგრამ რაღაც ნაწილი სოხუმში და იქით ცხოვრობს. აქ ჩვენ ვაშენებდით ახალ სოხუმს. აქ მე ვაშენებდი ახალ სოხუმს. აქ ჩვენ ჩავუყარეთ საფუძველი სასტუმრო „აფხაზეთს“, რომელიც იყო სოხუმის სიმბოლო, ახლა ბაყაყები დგანან, წყალია ჩამდგარი, სამი სართული ამოყვანილი იყო.

4-5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, ყველაფრით თანამედროვე. ფულიც მოპოვებული გვქონდა, მშენებლობაც დაწყებული. მერე ვთქვით, რომ მარტო ტურიზმით ვერ გავქაჩავთ. ჩვენ გვინდა რაღაც დიდი, ვთქვით, რომ კანიონი გვაქვს, მოდით, ავაშენოთ პორტი. მერე ეს ფული სასწრაფოდ აიღეს ბიუჯეტიდან, გადაყარეს ე.წ. უფასო ხვნათესვაზე და საქართველოში სახნავსათესი შემცირდა ივანიშვილის დროს 25%-ით. ეს პორტი აჩუქეს თიბისის. რატომ? იმიტომ, რომ თიბისიში 50 მილიონის აქციები იყიდა ივანიშვილმა და ასწიეს ფული, რომ ვითომ იქ რაღაც კეთდება. ეს აქციები იყიდა, მერე რუსეთმა დაუქნია თითი, – ამბობს ნაპრეზიდენტალი.

მისივე განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი საქართველოს აოხრებასა და ხალხის დამცირებაზეა გადასული.

– თქვენ ნახეთ ეს მოცურავე ხეები, გუშინ კიდევ გადათხარეს ერთი ნაწილი საქართველოსი. არ არის ივანიშვილი ისეთი სულელი, არ იცოდეს, რომ ამით ძალიან ამცირებს ჩვეულებრივ ადამიანებს. არ შეიძლება, მან არ იცოდეს, რომ ხეების ამოთხრით, თავის ეზოში გადარგვით, გზების გადაჯეჯგვითა და ათასგვარი სხვა მანიპულაციით ის ამცირებს ხალხს და ეუბნება, რომ თქვენ არ ხართ არავინ. მაგრამ ის ამას აკეთებს იმიტომ, რომ ის ამას აკეთებს შეგნებულად, გეუბნებათ, რომ თქვენ არ ხართ არავინ. თქვენ ხართ მხოლოდ ერთადერთი რამე. თქვენ შეიძლება იყოთ ჩვენი მონები. ეს არის ცალკე ფსიქოლოგია და ცალკე მართვის ტექნოლოგია, რომ ხალხი არის იმისათვის, რომ იყვნენ მონები, – აღნიშნა სააკაშვილმა.

მისი თქმით, დაუშვებელია რომ „ოცნების“ ლიდერი 2020 წლამდე დარჩეს ხელისუფლებაში.

– თუკი ბიძინა ივანიშვილი 2020 წლამდე დარჩება, ჩვენ მივიღებთ მაქსიმუმ 2.5-მილიონიან პენსიონერებითა და ჩინოვნიკებით დასახლებულ ქვეყანას, ამას პლუს სხვადასხვა ქვეყნის ღარიბი რეგიონიდან შემოყვანილი მუშახელი, რომლებსაც საქართველოსთან არაფერი აკავშირებთ, – აღნიშნა საქართველოს მესამე პრეზიდენტმა.







**„ბიძინა ივანიშვილი 2020 წლამდე თუ დარჩება, ჩვენ მივიღებთ 2.5-მილიონიან პენსიონერებითა და ჩინოვნიკებით დასახლებულ ქვეყანას“**






ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟევაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ოცნების“ დაშლა ადრე უნდა დაწყებულიყო“



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო სოსო, რამდენად რეალური შეიძლება იყოს, რომ ბიძინა ივანიშვილი 2020 წლის არჩევნებზე სხვა სახეებით აპირებს გასვლას?***

– თუ არჩევნების მოგება უნდა, მაშინ ასეც უნდა მოიქცეს. ძალიან ბევრი სამუშაო აქვს წინ ბიძინა ივანიშვილს. ახლა ვიღაცები გამოდიან და ამბობენ: „გუნდი ეშლება“, „სიტუაციას ველარ აკონტროლებს“. ამაზე მეცინება. სიმართლე გითხრათ.

ის პროცესი, რომელიც ახლა „ქართულ ოცნებაში“ მიდის. ბევრად უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. მე მიკვირს, აქამდე როგორ შეინარჩუნეს ერთობა. შეუძლებელი იყო, რომ ამ ადამიანებს რაიმე ღირებულებითი კავშირი ჰქონოდათ ერთმანეთთან.

ძალიან ლოგიკური იქნებოდა, რომ თავის დროზე ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნულიყო და ის პროცესი, რომელიც ახლა გუნდში მიმდინარეობს, ბევრად უფრო ადრე დაწყებულიყო.

***– და ამით რას მოიგებდა ივანიშვილი?***

– დროს. ახლა 2020 წლამდე ბევრი დრო არ არის დარჩენილი. ახლა უკვე ის ეტაპია, როდესაც ივანიშვილს ძალიან ბევრი რამის დამტკიცება მოუწევს. თუ ადრე მის სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა, დღეს ასე არ არის, უკვე მას დამტკიცება მოუწევს.

დღეს ჩვენ მოწმენი ვართ გარდამავალი პერიოდის. რა მიმართულებით განვითარდება და რა სახეს მიიღებს ეს პროცესი, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს.

რაც მოხდა, ბუნებრივია. ასეთი აურზაური საპარლამენტო უმრავლესობაში ჯერ კიდევ 2013-2014, ყველაზე გვიან, 2015 წელს უნდა მომხდარიყო.

***– და შედეგი რა იქნებოდა?***

– მიზნის მიღწევის შემდეგ, რომელიც იყო სააკაშვილისგან განთავისუფლება და არჩევნების მოგება, ივანიშვილი თანამებრძოლებისგან უნდა განთავისუფლებულიყო და ისინი თანამოაზრეებით ჩაენაცვლებინა. თანამებრძოლებში ძალიან ჭრელი ხალხი იყო. პოლიტიკაში ეკლექტიკა მიუღებელია, არ ამართლებს.

***– ასეც ხომ მოხდა, წავიდნენ თუ გაუშვეს რესპუბლიკელები, თავისუფალი დემოკრატები, ფორუმი და ა.შ.***

– ეს არ იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო, როგორ განთავისუფლდა. დღესაც კი იქ არიან კონსერვატორები, „სოციალ-დემოკრატები“. პოლიტიკაში რომანტიზმის ხანა თუ დიდხანს გაგრძელდა და ფაქტია, გაგრძელდა, მაშინ ფინალი ის არის, რასაც დღეს ვხედავთ.

***– თითქმის ყველა დასავლური საპარლამენტო სახელმწიფო კოალიციებით იმართება.***

– სწორი შენიშვნაა, მაგრამ რეალური კოალიციებით და არა იმ კოალიციით, რომელიც ჩვენთან იყო. ეს არ იყო წმინდა წყლის კოალიცია, რომელზეც თქვენ საუბრობთ. დასავლეთში სახელმწიფოები იმ კოალიციებით იმართება, რომლებიც არჩევნების შემდეგ დგება და სადაც გაცხოველებული პოლიტიკური ვაჭრობაა. დიახ, ვაჭრობა იდეებზე, პრინციპებზე, თანამდებობაზე.

***– ივანიშვილი აცნობიერებს, რომ თუ ის 10-კაციანი მოსამართლეების სია გავა ან მათ მიერ შედგენილი, მაშინ ეს სერიოზულ პროცესებს გამოიწვევს?***

– ძალიან დიდი ალბათობით, ეს ხალხი მოსამართლეები გახდებიან. ჩვენი ცხოვრება იმდენად დინამიკურია, იმდენად პრობლემებითაა სავსე, რომ შეიძლება, ადამიანებმა ცოტა თუ დიდი ხმაურის შემდეგ მაინც დაივიწყონ.

ივანიშვილმა უკვე ჩააბარა გამოცდა, როგორ უნდა გაიყვანოს თავისი კაცი. ეს გამოცდა მას უკვე აქვს ჩაბარებული ზურაბიშვილის გაყვანით. ამიტომ, მე მაინც მგონია, რომ ეს მოსამართლეები გავლენ.

***– მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, ძვირი დაუჯდეს?***

– დიახ, ყველაფრის ფასად, თან, როგორც გითხარით, შეიძლება, ადამიანებმა ცოტა ხნით გააპროტესტონ, იხმაურონ და შემდეგ დაივიწყონ.

ასევე, უნდა გავითვალისწინოთ ერთი რეალობაც – პოლიტიკურ სცენაზე ჯერ ივანიშვილს მისი სერიოზული შემცვლელი, კონკურენტი არ ეგულება და ამიტომაც შეიძლება, წავიდეს ამაზე. თუმცა, ერთიც კია, რაც არც ერთმა ჭკვიანმა პოლიტიკოსმა არასდროს არ უნდა დაივიწყოს – დუღილის პროცესი გარკვეულ ტემპერატურას როდესაც მიაღწევს, შემდეგ უკვე ყველამ ვიცით, რაც ხდება. ამიტომ, თუ ხალხმა თავის თავზე აიღო სადავეები, უკვე არც მესამე ძალა არ სჭირდება და არც ლიდერი. მერე უკვე არც მოსყიდვა ჭრის და არც არაფერი. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან სერიოზული მუშაობა მოუწევს ბიძინა ივანიშვილს, უკვე ასე მარტივად არ არის საქმე.

კიდევ ერთი – ხელისუფლებისთვის შეუსრულებელი დაპირება ისეთი ნაღმია, რომელიც ადრე თუ გვიან აუცილებლად აფეთქდება და თან ჩაიტანს.

ახლა ივანიშვილს და არა „ქართულ ოცნებას“, პარტია საერთოდ არ არის ამ შემთხვევაში მთავარი, ძალიან რთული ეტაპი აქვს. ვნახოთ, როგორ გაივლის ის ამ ეტაპს, რა მანევრს განახორციელებს. იქნება თუ არა მისი ნაბიჯები სწორი.

სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული 2020 წლის შედეგებიც მისთვის.

# დავით ბაქრაძე: „ჩვენი ამოცანაა, „ოცნების“ ყველა ნაწილი სახლში გავუშვათ“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ჩვენს ხელისუფლებას სასამართლო სისტემის შეცვლაზე მძიმე დისკუსიები გვქონდა. ყველანი პასუხისმგებელი ვართ იმაზე, რომ ჩვენს დროს სასამართლო დამოუკიდებელი არ გახდა“**



საპარლამენტო უმრავლესობისა და პარტია „ქართული ოცნების“ რიგებს წევრები ყოველდღე ტოვებენ. პარალელურად არ ცხრება ვნებათაღელვა სასამართლო სისტემის ირგვლივ. ამ ფონზე თითქმის სრული ოპოზიციური სპექტრი ერთიანია და პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითხოვს. თუმცა, დასუსტებული მმართველი გუნდი პოზიციებს ისევ არ თმობს.

რა პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს, გაერთიანდება თუ არა „ევროპული საქართველო“ ნაცმოძრაობასთან, ითანამშრომლებენ თუ არა „ოცნებიდან“ წამოსულებთან და რატომ ვერ მოახერხა მათმა ხელისუფლებამ სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე საუბრობს:

***– ყოველდღე გვესმის, რომ „ქართული ოცნებიდან“ ვიღაც მიდის, ვიღაც წასვლაზე ფიქრობს. რა პოლიტიკური მოცემულობაა, დაიწყო თუ არა „ოცნების“ ჩამოშლის პროცესი?***

– ეს ყველაფერი იმ ზოგადი ვითარების შედეგია, რაც ქვეყანაშია. ქვეყანაში არ არსებობს ხელისუფლება, რომელსაც გააჩნია ხედვა, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა. სინამდვილეში ქვეყანაში არაფორმალური მართვაა. ამ არაფორმალური მართვის, ხედვისა და პასუხისმგებლობის არარსებობიდან მოდის ეს ყველაფერი.

„ქართული ოცნება“ არის გუნდი, კონკრეტულად პარლამენტში, რომელსაც არ აქვს საერთო ღირებულებები, არ აქვს საერთო მომავლის ხედვა. მათ შეიძლება აერთიანებთ წარსულის ლანძღვა, მაგრამ რომ ჰკითხოთ, რა არის მომავლის ხედვა, ვერ გიპასუხებენ. როცა არ არის საერთო ხედვა, ღირებულებები და ამოცანა, როცა ერთადერთი, რაც აერთიანებთ, წარსულის ლანძღვაა, ასეთ გარემოში მისი ჩამოშლის პროცესი ბუნებრივია.

***– მომავლის ხედვის არქონაში ოცნებიდან“ წამოსულ დეპუტატებსაც გულისხმობთ?***

– ყველას ვგულისხმობ. მომავლის ხედვა მთლიანად „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნია. საით მიჰყავს საქართველო, რა ტიპის ქვეყანა უნდა ვიყოთ, რა რეფორმები უნდა ჩავატაროთ, როგორი ეკონომიკა უნდა გვქონდეს, ხალხს როგორ უნდა მივხედოთ. არც ერთ ფუნდამენტურ საკითხზე „ოცნებას“ მომავლის ხედვა არ გააჩნია.

ეს არის გუნდი, რომელსაც ორი რამე აერთიანებს – ივანიშვილის ფინანსური რესურსი და წარსულის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება.

პოლიტიკური გუნდი, რომელსაც არ აქვს გუნდურობის განცდა და მომავლის ხედვა, უნდა დაიშალოს და იშლება. სწორედ ეს პროცესია ახლა. ჩემთვის ეს პროცესი მხოლოდ პიროვნებებთან დაკავშირებული პროცესი არ არის – ბესელია ასე მოიქცა, კვაჭანტირაძემ ეს თქვა, თალაკვაძემ ეს უპასუხა. ეს არ არის პიროვნებების პროცესი, ეს არის სისტემური კრიზისი.

„ოცნებაში“ სისტემური კრიზისი იმ ვითარების გამო დაიწყო, რომელიც ქვეყანაშია. ეს არ არის მხოლოდ პიროვნული შეუთავსებლობა. ეს პროცესი დასრულდება „ოცნების“ დასუსტებითა და 2020 წელს მისი სახლში გაშვებით.

***– ერთ-ერთი ფუნდამენტური კითხვაა, რატომ მაინცდამაინც ახლა, როცა მუდმივად იყო სასამართლოს პრობლემებზეც საუბარი? საუბრობენ სასამართლო სისტემის პრობლემებზე, მაგრამ სერიოზული პრობლემებია პროკურატურაშიც, სხვა უწყებებშიც. რატომ არ საუბრობენ ამაზე და რატომ გაურბიან ივანიშვილის კრიტიკას?***

– ეს ძალიან სიმპტომური კითხვაა, რაც არის ამ დეპუტატების პოზიციონირება, იქმნება თუ არა ქვეყანაში ახალი ოპოზიცია. მე ვფიქრობ, რომ ოპოზიცია არ იქმნება, უბრალოდ, სისტემის რღვევის პროცესი მიმდინარეობს. ამის სიმპტომებია ის, რაც ჩამოთვალეთ. მაგალითად, სასამართლოს თემა დღეს საზოგადოებაში არის პოპულარული თემა. ყველას ესმის, რომ საზოგადოებაში არსებობს მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება იმ კლანის მიმართ, რომელიც მართავს სასამართლოს. ამიტომ ადვილია, იყო კრიტიკული მურუსიძის მიმართ.

მაგრამ, შენ თუ ოპოზიციაში ხარ, როგორ შეიძლება, არ დაინახო პრობლემა იგივე პროკურატურაში. ამხელა მიმდინარე საქმეა თიბისისა და მამუკა ხაზარაძის თემა, როგორ შეიძლება, პრობლემა არ დაინახო პროკურატურის ქცევაში, რასაც ის ამ საქმეში აჩვენებს. როგორ შეიძლება, პრობლემა არ დაინახო პროკურატურის ქცევაში ზაზა სარალიძესთან ან მალხაზ მაჩალიკაშვილთან მიმართებით.

როდესაც ამაზე არ საუბრობ, როდესაც ეროვნულ ბანკში არ ხედავ პრობლემას, როდესაც ვერ ხედავ, რა პრობლემები მოაქვს არაფორმალურ მმართველობას. როდესაც ცდილობ, საერთოდ არ ახსენო ბიძინა ივანიშვილი, ეს ყველაფერი ის სიმპტომებია, რომ არანაირი ახალი ოპოზიცია არ იქმნება.

ეს არის „ოცნების“ რღვევა. „ქართული ოცნების“ მაგივრად იქნება რამდენიმე „ქართული ოცნება“. ბუნებრივია, რამდენიმე ნაწილად დაშლილი „ოცნება“ იქნება უფრო სუსტი, მაგრამ ჩვენი ამოცანა იქნება, რომ რამდენ ნაწილადაც არ უნდა დაიყოს „ოცნება“, ყველა ნაწილი ჩამოვაშოროთ ხელისუფლებას. ჩვენთვის განსხვავება არ არის არც ერთ ნაწილში და არც მეორეში.

ადვილია მურუსიძის კრიტიკა, მაგრამ მარტო მურუსიძეა ქვეყანაში გასაკრიტიკებელი?! ჩვენ თუ არ ვლაპარაკობთ, მურუსიძესთან ერთად რა ხდება... ანრი ოხანაშვილს უნდა მოსამართლეების დანიშვნა? ვერ ვხედავთ, რომ ბიძინა ივანიშვილის ამოცანაა, რომ ეს კლანი შეინარჩუნოს და ამით სასამართლო მართოს. როცა ამბობ, რომ მოსამართლეების თემაზე კონფლიქტი კობახიძესთან და ოხანაშვილთან გაქვს, ეს პრობლემის ძალიან პატარა ნაწილია. ეს ნიშნავს, რომ ეს ადამიანები ისევ „ოცნების“ ნაწილი არიან, ლოიალურები ივანიშვილის მიმართ და ხდება შიდა რღვევა.

***– უმრავლესობიდან წამოსულ დეპუტატებთან ხომ არ გექნებათ გარკვეულ საკითხებზე თემატური თანამშრომლობა? ერთ თემატურ საკითხზე უკვე ითანამშრომლეთ და დაუჭირეთ მათ კანონპროექტს მხარი. ეს გაგრძელდება?***

– თემატურ თანამშრომლობას არ გამოვრიცხავ. ჩემი დამოკიდებულება უკვე გითხარით, რომ ისინი არიან „ოცნების“ ნაწილი. მისი ორივე ნაწილი თუ ათივე ნაწილი რამდენადაც არ უნდა დაიშალოს, ჩვენთვის ერთნაირია.

***– როცა ნაცმოძრაობიდან წამოხვედით, თქვენზეც იმავეს ამბობდნენ და მის ნაწილს გიწოდებდნენ.***

– ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება იყო. ჩვენ არასდროს მოგვრიდებია არავის კრიტიკა. მათ შორის სააკაშვილის კრიტიკა. ეს ადამიანები კი ვერაფერს ამბობენ. პირიქით, ამბობენ, რომ ივანიშვილი მათ ლიდერად რჩება. ამიტომ, დიდი განსხვავებაა და ნუ შევადარებთ.

ჩვენ როცა წამოვედით ნაცმოძრაობიდან, სახეზე იყო მთელი პროცესი, სახეზე იყო ღირებულებითი განსხვავებები. ჩვენ ვიყავით ძალიან ღია და კრიტიკულები. მათ შორის ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის მიმართაც, მათ შორის ლიდერების მიმართაც. ჩვენ არაფერი დაგვიმალავს, განსხვავებით ამ ადამიანებისგან, ვინც დღესაც ვერ ბედავს და არ სურს რამის თქმას ივანიშვილზე.

ჩემთვის არანაირი განსხვავება არ არსებობს, მაგალითად, ანრი ოხანაშვილსა და ზვიად კვაჭანტირაძეს შორის. ჩემთვის ორივე „ქართული ოცნების“ ნაწილია და ამოცანაა, რომ ხელისუფლება თავის ნაწილებიანად სახლში გავუშვათ.

თემატური თანამშრომლობა კი, რა თქმა უნდა, გვექნება. მაგალითად, უკვე დავუჭირეთ მხარი მოსამართლეების კანონპროექტს. ახალი პროექტი შემოდის უზენაესის მოსამართლეების დანიშვნის წესზე. მან არასამთავრობოებისგან გარკვეული მხარდაჭერა დაიმსახურა. გავეცნობით და არ გამოვრიცხავ, რომ მას კიდევ ერთხელ მხარი დავუჭიროთ. მაგრამ, ვიმეორებ, ყველა ის ადამიანი, ვინც არ აკრიტიკებს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და მის მთავარ წყაროს – არაფორმალურ მმართველობას, ჩვენთვის „ოცნების“ გუნდის წევრია და გუნდის შიგნით დაპირისპირებას ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს.

***– ისაუბრეთ სასამართლო კლანის ივანიშვილის მიერ გადმობარებაზე. თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც თვითკრიტიკა დაიწყო 2012 წლის არჩევნების შემდეგ. ხედავთ თუ არა მსგავსებას ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის ამ სისტემის მართვის მხრივ?***

– არის მსგავსებაც და არის განსხვავებაც. თავიდანვე ვიტყვი, რომ ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავისა და ჩვენი ხელისუფლების მიმართ, როცა საქმე სასამართლო ხელისუფლებას ეხება.

2004 წლიდან 2012 წლამდე სასამართლოში ბევრი კარგი გაკეთდა, მაგალითად, მატერიალური ბაზა, კანონები, კორუფციის მოსპობა, მაგრამ მთავარი არ გაკეთდა. ის მთავარი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობა, რომ სასამართლო არ ყოფილიყო დაქვემდებარებული აღმასრულებელ ხელისუფლებას.

***– რატომ არ გაკეთდა? ხშირად გსაყვედურობენ ოპონენტები, რატომ არ გააკეთეთ ეს რეფორმაო. რა პასუხი გაქვთ?***

– ნებისმიერი ხელისუფლებისთვის კომფორტულია, როდესაც მას ჰყავს ისეთი სასამართლო ხელისუფლება, რომელიც არ არის მის მიმართ კრიტიკული და კრიტიკულ შემთხვევებში შეიძლება, მისი ლოიალობის იმედი გქონდეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# აკაკი ზოიძე: „გასახვევ თამბაქოზე აქციზი უნდა გაიზარდოს“

ლელა მდივანი

გასახვევ თამბაქოზე აქციზის ფასის გაძვირების ინიციატივით ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ მთავრობას მიმართა. როგორც დეპუტატი აცხადებს, აღნიშნულ რეკომენდაციას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია იძლევა და ფასის მატების მიზანი მხოლოდ მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვაა.

რატომ არის ფასის ზრდა მოწევისთვის თავის დასანებებლად ერთადერთი გზა და რატომ ზრუნავს სახელმწიფო მხოლოდ მწეველების ჯანმრთელობაზე, როცა სიკვდილიანობას ქვეყანაში სხვა ფაქტორებიც იწვევს, ამაზე „ახალ თაობასთან“ აკაკი ზოიძე საუბრობს.

**აკაკი ზოიძე:**

– ჩვენ გვაქვს მსოფლიო რეკომენდაცია იმის თაობაზე, რომ აქციზის მატების ამოცანა რომ შესრულდეს, დაფასოებული თამბაქოს ფასის გაზრდაც უნდა მოხდეს. ეს არის ევროინტეგრაციის ვალდებულება.

ამოცანა კი არის ის, რომ ადამიანებმა ნაკლები მოწიონ ან საერთოდ არ დაიწყონ მოწევა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა. დამტკიცებულია უამრავი კვლევით, რომ ფასი არის ერთადერთი ბარიერი. ამბობენ, რომ ამას ეფექტი



იქნება იმ შემთხვევაში, თუ ყველა სახის თამბაქოს პროდუქტზე მოხდება გაძვირება და არა ის, რომ ერთი თამბაქოს სახელი ჩაანაცვლოს მეორე თამბაქოს სახელით.

მომავალში აუცილებელია, ამ კუთხითაც მოხდეს აქციზის გათანაბრება. ჯერ მხოლოდ რეკომენდაციაზეა საუბარი და მე დავაფიქსირე ჩემი აზრი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ეს ზომები მივიღოთ იმისთვის, რომ მწეველთა რაოდენობა შემცირდეს.

მამაკაცების ნახევარზე მეტი ეწევა, ქალების მწეველთა რაოდენობა გაორმაგდა, 13 წლამდე ჩამოვიდა მაჩვენებელი, რაც კატასტროფაა. 15 წლით ადრე იღუპებიან სწორედ თამბაქოთი გამოწვეული დაავადებებით. მიუხედავად ამ ნაბიჯის არაპოპულარობისა, ეს ერთადერთი გზაა, რომ ეს მოხდეს.

კვლევებით დასტურდება, რომ მწეველთა 40% წელიწადში ერთხელ მაინც ცდილობს, დაანებოს თავი მოწევას და ფასის მომატებაც ხელს შეუწყობს ამას.

***– გასაგებია, რომ ეს ჯანსაღი ცხოვრების ერთ-ერთი საწინდარია, მაგრამ, ხომ არსებობს სხვა ფაქტორებიც, რაც ასევე საჭიროა ჯანმრთელობისთვის, მაგალითად, ჯანსაღ საკვებზე ხელმისაწვდომობა.***

– ჯანსაღი კვება არ გულისხმობს იმას, რომ აუცილებლად უნდა ჭამოთ რაიმე განსაკუთრებული სუპერძვირი ორგანული საკვები. საკმარისია კომბინირებულად ისე ჭამოთ, რომ ბევრი ნახშირწყალი და ბოსტნეული მიიღოთ, ასევე ბევრი წყალი სვათ, მაგრამ აქ ხომ ერთი მეორეს არ გამორიცხავს. საუბარია იმაზე, კონკრეტულად თამბაქოსგან რამდენი ადამიანი იღუპება და, შესაბამისად, ჩვენ გვინდა, თამბაქოთი გამოწვეულ დაავადებებს ვებრძოლოთ ამით.

ჯანსაღი ცხოვრების წესი ჯანსაღ კვებას არ ნიშნავს. კვირაში ერთხელ ნახევარი საათით რომ იაროს, ესეც ცხოვრების ჯანსაღი წესია. ამას არ სჭირდება არაფერი დამატებითი რესურსი. ყოველდღიურად ან კვირაში სამჯერ ნახევარი საათით ფიზიკური დატვირთვა არის ჯანსაღი ცხოვრების ნაწილი.

ამის გარდა, მინიმუმ 1.000 ლარი დაეზოგება ადამიანს, თამბაქოს მოწევას რომ თავს დაანებებს და შეუძლია ეს თანხა გამოიყენოს ჯანსაღი კვებისთვის თუ სხვა ნებისმიერი საჭიროების დაკმაყოფილებისთვის, რაც თავად და თავის შვილებს სჭირდებათ.

სიგარეტი ერთადერთი პროდუქტია, რომლის დანიშნულებისამებრ მოხმარება კლავს მომხმარებელს, რეალურად, ნარკოტიკია. არანაირი სარგებელი ზოგადად არ მოაქვს და არა მარტო ზიანს აყენებს ადამიანს, არამედ კლავს კიდეც. ასე რომ, ამ კუთხით, ყველა შეთანხმებულია, რომ ეს ასე უნდა მოხდეს და ჩვენ კითხვის ნიშანს ვაყენებთ, რომ ეს პრობლემაა?!

მე სახელმწიფოსაც მოვუწოდე, რომ თუ აქციზს გაზრდიან, უფასო გახდეს ის მედიკამენტები, რომლებიც ხელს უწყობენ სიგარეტისთვის თავის დანებებას.

***– ფასი პურზეც გაძვირებულია, შაქარზეც და არაერთ პროდუქტზეც. კვება ხომ საჭიროა ჯანმრთელობისთვის. ყველაფერს თავს ხომ არ დაანებებს მოსახლეობა?***

– პური და შაქარი არის პირველადი მოხმარების საგნები. სიგარეტი არ გახლავთ პირველადი მოხმარების საგანი. არის ნარკოტიკი. მგონი, ამ შედარებით არასერიოზული საუბარი გამოგვივა. გაძვირების თემა ამ შემთხვევაში არ გახლავთ ის, რომ ბიუჯეტში ფული შემოვიდეს. ეს არის შეგნებული ნაბიჯი იმისთვის, რომ ადამიანებმა ნაკლები მოწიონ. ეს არის განსხვავება.

ძალიან ცუდია, როცა პური ან შაქარი ძვირდება, იმიტომ, რომ ბევრი ადამიანისთვის ეს არის პირველი და გადაუდებელი მოთხოვნილების საგანი. სიგარეტის შემთხვევაში, ეს არის ერთადერთი გზა, რომ ადამიანებმა შეამცირონ მოწევა ან საერთოდ თავი დაანებონ.

# დავით ბაქრაძე: „ჩვენი ამოცანაა, „ოცნების“ ყველა ნაწილი სახლში გავუშვათ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

კომფორტულია ხელისუფლებისთვის, მაგრამ ცუდია ქვეყნისთვის.

ბევრი რამე შევცვალეთ სასამართლოში პოზიტივისკენ, მაგრამ ამ მთავარ ცდუნებასა და ბარიერს ვერ გადავახტით, რომ შეგვექმნა დამოუკიდებელი და კრიტიკული სასამართლო სისტემა, რომელიც იმას კი არ გააკეთებდა, რასაც გენერალური პროკურორი ან იუსტიციის მინისტრი ეტყოდა, არამედ იმას გააკეთებდა, რაც დამოუკიდებელ სასამართლოს უნდა გაეკეთებინა.

2012 წელს რეალური შანსი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობის. თუ რამე კავშირები არსებობდა მაშინდელ აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სასამართლოს შორის, ეს კავშირები გაწყდა, იმიტომ, რომ ხელისუფლება შეიცვალა.

ხელისუფლების შეცვლა ბუნებრივი შანსია სასამართლოს დამოუკიდებლობის მისაღწევად. სინამდვილეში კი მოხდა ის, რომ მოსამართლეები გადაიქვემდებარა „ოცნებამ“. რომ მკითხეთ, რა საერთოა სააკაშვილსა და ივანიშვილს შორისო, აი, ეს არის საერთო, მოხდა მოსამართლეების გადაქვემდებარება. ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ყველა მოსამართლემ მიიღო ძალიან ნათელი სიგნალი. თუ გინდა, არ შეგაწუხონ, ხელისუფლების მიმართ ლოიალური უნდა იყო და ეს გამოიხატება იმ კლანის წევრობაში, რომელიც საქმეებს ალაგებს ხელისუფლებასთან.

თავის დროზე წულუკიანის იდეა იყო, შექმნილიყო მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელსაც მოსამართლეების გადაწყვეტილებები უნდა გადაესინჯა. ეს პრინციპულად არასწორი იყო, მაგრამ რა მოხდა მერე? ეს აღარ გააკეთა „ოცნებამ“, უბრალოდ დატოვა, როგორც მოსამართლეების თავზე დაკიდებული საფრთხე და უთხრა, ან მოხდება თქვენი საქმეების გადასინჯვა და შეგიქმნით პრობლემებს, ან ლოიალურები იქნებით.

ასეთ შემთხვევაში მოხდა უმტკივნეულოდ გადაქვემდებარება სასამართლო ხელისუფლების და იმ კლანის გაძლიერება, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა დავალებების მიცემა.

მაშინ მურუსიძე შეხვდა ივანიშვილსაც, მაშინდელ პრემიერ ღარიბაშვილსაც. ეს დამალულად კი არ მოხდა, ჩვენ თვალწინ ხდებოდა, როცა ხდებოდა სასამართლო სისტემის გადაქვემდებარება.

დღეს გაგვახსენეს, რომ მურუსიძე ცუდია. უკაცრავად და 2013-ში, როცა მურუსიძე ივანიშვილს ხვდებოდა, მაშინ არ იყო ცუდი?! როგორ შეიძლება, 2019-ში გაგახსენდეს, რომ მურუსიძე ცუდია. ეს ყველაფერი იყო სასამართლო ხელისუფლების გადაქვემდებარება. ვინც ამაზე ხმას არ იღებდა და დღეს ლაპარაკობს, ეს არის საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევა და კარგი მიზეზის მოძებნა საკუთარი ამბოხისთვის.

***– თქვენს დროს თუ იყო გარკვეული პირების მხრიდან მცდელობა, რომ ეს სისტემა შეცვლილიყო და იყვნენ თუ არა ისინი, ვინც, პირიქით, ამ პროცესს ხელს უშლიდა? თქვენ იყავით პარლამენტის თავმჯდომარე და ხომ არ გქონიათ სურვილი, რომ შიდა კომუნიკაციის დონეზე რაღაც შეგეცვალათ და თანამდებობის გარკვეული პირები ხელს ხომ არ გიშლიდნენ?***

– დიახ, გიდასტურებთ, რომ იყო ძალიან მძიმე და მწვავე დისკუსიები მაშინდელ ხელისუფლებაში. ამას ნამდვილად გიდასტურებთ, მაგრამ პერსონიფიცირებისგან თავს შევიკავებ, იმიტომ, რომ ჩემი პრინციპია, ყველა, ვინც ხელისუფლებაში ვიყავით, ვატარებთ ამ პასუხისმგებლობას. იმის დამოუკიდებლად, რა პოზიცია მქონდა შიდა დისკუსიაში და რას მოვითხოვდი, მე ვიყავი იმ ხელისუფლების ნაწილი, ამიტომ ჩემგან არასწორი იქნება სხვისკენ ხელის გაშვერა, რომ მე მინდოდა რაღაცის შეცვლა და ვიღაცა ხელს მიშლიდა. ეს არის ყველას საერთო პასუხისმგებლობა.

გამოსავალი არის ის, რომ ამ ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, მოვიდეს ხელისუფლება, რომელიც გაიაზრებს, რომ კომფორტული ის კი არ არის, როცა მორჩილი მოსამართლე გყავს, არამედ, როცა ადამიანებს დამოუკიდებელი სასამართლოს იმედი აქვთ.

თუ სასამართლო არ არის დამოუკიდებელი, ეს არის დიდი სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილების თემა საზოგადოებაში. ეს გვაჩვენა 2012 წელმაც და 2019 წელმაც. მომავალმა ხელისუფლებამ აქედან გაკვეთილი უნდა მიიღოს. წინ გავიხედოთ და არა ის, რომ ვიღაცის კრიტიკა დავიწყო.

***– მედიაში გაჩნდა ასეთი ინფორმაცია, რომ შესაძლოა „ევროპული საქართველო“ და ნაციონალური მოძრაობა ისევ გაერთიანდეთ. არის თუ არა ეს რეალობასთან მიახლოებული?***

– არა. ამ ეტაპზე არანაირი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს. უფრო მეტიც, დღის წესრიგშიც არ დგას. ეს ჭორები სუფთა არითმეტიკიდან წამოვიდა. უმრავლესობიდან კიდევ რამდენიმე ადამიანის გასვლის შემთხვევაში უმცირესობა იშლება და „ევროპული საქართველო“ კარგავს საპარლამენტო უმცირესობის სტატუსს. ამიტომ, თქვენმა კოლეგებმა ბუნებრივად ჩათვალეს, რომ ნაბიჯებს გადავდგამდით ამ მიზნით და მოლაპარაკებებს დავიწყებდით ნაციონალებთან.

ეს ასე არ არის. ჩვენთვის უმცირესობის სტატუსი გადამწყვეტი ნამდვილად არ არის. ჩვენ გვყავს 3 ფრაქცია და სამივე ძალიან აქტიურად გააგრძელებს პარლამენტში მუშაობას. ჩვენი ამოცანა ოპოზიციის სტატუსის ქონა კი არაა, არამედ მომზადება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, რომ ხელისუფლების სტატუსი გვქონდეს. ასე რომ, უმცირესობის შენარჩუნების გამო ასეთი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს.

ერთადერთი, ეს საკითხი შეიძლება დადგეს მაშინ, თუ ჩვენ დავინახავთ, რომ პარლამენტში იქმნება ივანიშვილის ლოიალური უმცირესობა და იქმნება სიტუაცია, როცა უმრავლესობაც და უმცირესობაც კონტროლირებადია ივანიშვილის მხრიდან. თუ ასეთი სიტუაცია შეიქმნა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ ოპოზიციის გაერთიანებაზე. ეს ჯერჯერობით არ ხდება, ამიტომ დღის წესრიგშიც არ არის „ევროპულ საქართველოსა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის მოლაპარაკებების თემა.

***– პროპორციულ სისტემასთან დაკავშირებით პრაქტიკულად მთელი ოპოზიცია ერთიანი ხართ, „გირჩისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ გარდა. იმ ვითარებაში, როცა „ოცნება“ კომპრომისზე არ მოდის, რა რესურსი გრჩებათ?***



– ჩვენი რესურსი არის ის, რაც უკვე დავიწყეთ. პირველი, ეს არის ხელმოწერების გზით ჩვენი მოსახლეობის აზრის დაფიქსირება. ოპოზიციის ერთობლივი მოქმედება ემსახურება იმას, რომ ხელისუფლებას დავანახოთ, რომ საზოგადოებაში ამ ცვლილების მოთხოვნა არსებობს.

მეორე მიმართულება იქნება ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან მუშაობა და ხელისუფლებისთვის საერთაშორისო წნეხის შექმნა. როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ ჩვენი უცხოელი პარტნიორები მხარს უჭერენ ამ რეფორმასა და ცვლილებებს.

***– საპროტესტო აქციების გზასაც ხომ არ გამოიყენებთ?***

– რა თქმა უნდა, ამ პროცესში პოლიტიკურ აქციებსაც არ გამოვრიცხავთ. ეს არის პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივი ნაწილი.

„ევროპული საქართველოსთვის“ აქციები თვითმიზანი არასდროს არ არის. აქციების მოწყობა ან ხელისუფლებისადმი მუქარა, რომ აქციებს ჩავატარებთ, არასდროს ყოფილა ჩვენი თვითმიზანი, მაგრამ აქციები პოლიტიკური ცხოვრების ბუნებრივი ნაწილია. ამიტომ, არც ამას არ გამოვრიცხავთ. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი გარემო, რომ ხელისუფლება იძულებული გავხადოთ, წამოვიდეს ამ დათმობებზე.

ხელისუფლებას არ აქვს არგუმენტი, რატომ არ გადადის არჩევნების პროპორციულ სისტემაზე. თუ აქებენ კონსტიტუციას და ამბობენ, რა მაგარი სისტემაა, რომ 2024 წელს გადავდივართ პროპორციულ სისტემაზეო, მაშინ რატომ არ აკეთებენ იმავეს 2020-ში?!

ამის არგუმენტი არ არსებობს. ეს მინდა, მკითხველმაც გაიაზროს, იმიტომ, რომ ბევრისთვის საარჩევნო სისტემა პოლიტიკური თემაა. მათთვის გაუგებარია, ასე აირჩევ თუ ისე აირჩევ. მინდა, ყველას ესმოდეს, რომ საარჩევნო სისტემა არის ქვეყანაში სიმშვიდისა და სამართლიანობის განცდის პირობა.

თუ გყავს ხელისუფლება, რომელიც არჩევნებს იგებს არა მოსახლეობის მხარდაჭერის, არამედ სისტემის ხარჯზე, ქვეყანაში ყოველთვის გექნება პრობლემა, არეულობა და ცუდი ვითარება. ამიტომ, ეს არის სტაბილურობის თემა, ეს არ არის მხოლოდ ის, რომ როგორ ავირჩევთ პარლამენტის წევრებს. სამართლიანი არჩევნები, ისევე, როგორც დამოუკიდებელი სასამართლო, ქმნის ქვეყანაში სიმშვიდის, სამართლიანობისა და სტაბილურობის გარემოს.

***– თქვენ შეასრულეთ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობა და დაუჭირეთ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მხარი ნაცმოძრაობის კანდიდატს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამომრჩევლის ნაწილი დაკარგეთ? პოლიტოლოგები ამბობენ, რომ გქონდათ მესამე ძალის შანსი, ამის შემდეგ კი ეს კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.***

– ეს არ იყო ადვილი გადაწყვეტილება. ჩვენს მხარდამჭერებს შორის, პარტიის ლიდერებსა და პარტიის წევრებს შორის ძალიან ბევრი ადამიანია ისეთი, რომლებიც კრიტიკულები არიან ნაცმოძრაობის მიმართ, მათი ნაბიჯების, პოლიტიკისა და ქმედებების მიმართ.

ვინც წამოვედით ნაცმოძრაობიდან, ძალიან ღირებულებითი განსხვავებები და შეუთავსებლობა გვქონდა. ეს ეხებოდა წარსულთან დამოკიდებულებას, ოპოზიციის როლს, სამომავლო თემებს. ეს განსხვავებები არ გამქრალა და არსებობს. ამიტომ, მხარდაჭერის გადაწყვეტილება ძალიან რთული იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი.

როცა ქვეყანაში გადამწყვეტი მომენტია, თუ შენ ხარ ოპოზიცია, არ შეიძლება, არ მიიღო მონაწილეობა გადამწყვეტ მომენტში. თუ ხარ ოპოზიცია, არ შეიძლება, არ დაუჭირო მხარი გადამწყვეტ მომენტში სხვა ოპოზიციურ პარტიას, მაშინაც კი, თუ სერიოზული განსხვავებები გაქვს.

დამოკიდებულება ჩვენ და ნაცმოძრაობას შორის ისეთივეა, როგორიც იყო არჩევნების მეორე ტურამდე, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში არ შეიძლება, ოპოზიცია მხარს არ უჭერდეს სხვა ოპოზიციურ კანდიდატს. თუ ამას არ აკეთებ, მაშინ თამაშობ ხელისუფლების თამაშს. მიმაჩნია, რომ ეს არის პოლიტიკური კულტურის ნაწილი. ვაჩვენეთ, რომ ხელისუფლების თამაშს არ ვთამაშობთ და ნამდვილად ოპოზიციური პარტია ვართ.

ვიმეორებ, ეს იყო რთული გადაწყვეტილება. არჩევნების შემდეგ ჩემთანაც ბევრი მოსულა და უთქვამთ, იმიტომ მოგეცით ხმა, რომ აღარ მინდოდა არც ივანიშვილი, მაგრამ არ მინდა არც სააკაშვილიო. მესმის ამ ადამიანების გულისტკივილი, მაგრამ მათაც უნდა გაიგონ, როცა გაქვს გადამწყვეტი მომენტი და ხელისუფლების დამარცხების შანსი, ასეთ მომენტში ოპოზიცია უნდა იდგეს ერთად.

***– ანუ გაანალიზებული გქონდათ ის რისკი, რომ, შესაძლოა, ამომრჩევლის ნაწილი დაგეკარგათ, მაგრამ ეს სწორ გადაწყვეტილებად მიგაჩნდათ?***

– რა თქმა უნდა. მიგვაჩნია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყო და, დარწმუნებული ვარ, ეს ამომრჩეველი დაუბრუნდება „ევროპულ საქართველოს“, იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში ამომრჩეველსაც კარგად ესმის ოპოზიციის მხრიდან სწორი მიდგომა.

ჩვენ ვართ განსხვავებულები, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ვთანამშრომლობთ იმისთვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს. თუ ეს არ მოხდა, ხელისუფლება არასდროს შეიცვლება. თუ ოპოზიციის სამიზნე მუდმივად სხვა ოპოზიცია იქნება, ეს არის ის, რაც ხელისუფლებას აწყობს.

ვისაც გული დასწყდა, მინდა ვუთხრა, რომ სწორედ იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ხელისუფლებაში მუდმივად „ოცნება“ არ გვყავდეს, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან.

ბუნებრივია, განსხვავებები არსებობს. რომ არ არსებობდეს, მაშინ ერთი პარტია ვიქნებოდით.

# აგროვებდა თუ არა გახარია ეპისკოპოსებზე კომპრომატებს

## მეუფე იაკობი: „ამერიკელებს ვუთხარი, მიგვიღეთ ნატოში და უკრაინის ავტოკეფალიას ვაღიარებთო“

შორენა მარსაგიშვილი



ქვეყანას წინ სერიოზული პოლიტიკურ-რელიგიური სკანდალი ელოდება – სასულიერო პირები უკვე ადასტურებენ იმ ინფორმაციას, რაც აქამდე ჭორად დადიოდა. საუბარია შს მინისტრის განკარგულებაზე, რომლის თანახმადაც, მაღალი იერარქიის სასულიერო პირებზე კომპრომატები უნდა მოეგროვებინათ.

„ახალი თაობა“ ამის შესახებ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების წინ წერდა. ხელისუფლებასთან დაახლოებული წყაროს ცნობით, ერთ-ერთი, ვის წინააღმდეგაც კომპრომატები უნდა შეეგროვებინათ, მეუფე იაკობი იყო, რომელიც ხელისუფლების რჩეულ საპრეზიდენტო კანდიდატსა და ივანიშვილის საოცნებო კანონპროექტს კანაფის კულტივაციის შესახებ მკვეთრად დაუპირისპირდა.

ყველას გახსოვთ ისიც, თუ როგორ ჩამოუარა არჩევნების წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ეპისკოპოსებს. ჩვენი წყარო ამბობდა, რომ გახარია ცდილობდა მათ დარწმუნებას იმაში, რომ ის არავის წინააღმდეგ არ აგროვებდა კომპრომატებს.

გახარიასთან დაახლოებულმა ხალხმა მაშინ ასეთი ცნობა გაავრცელა, რომ შს მინისტრს ამ ჭორს ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები უვრცელებდნენ.

გახარია მეუფე იაკობთანაც შეეცადა შეხვედრას, მაგრამ პატრიარქის ქორეპისკოპოსისა და მსტოვართუხუცესის შეხვედრა არ შედგა. ერთი ვერსიით, მინისტრი იყო უარზე, მეორე ვერსიით კი – ბოდბელი ეპისკოპოსი.

პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მედიასთან საუბარში გასული წლის მიწურულს ისიც თქვა, რომ გახარია რუსეთის კაცია და ის პრემიერი ვერასდროს გახდება.

ამის შემდეგ ბოდბელი ეპისკოპოსი გაუჩინარდა და ყველამ რატომღაც ჩათვალა, რომ ის და გახარია მორიგდნენ. ამის შემდეგ ისევ დაიწყო საუბრები იმაზე, რომ მთავრობის მეთაური შს მინისტრი გახდება.

ეს ილუზია ამ დღეებში დაიმსხვრა – შაბათის კურიერთან საუბარში პატრიარქის ქორეპისკოპოსმა, ფაქტობრივად, დაადასტურა, რომ შსს რაღაცებს აგროვებდა.

ამის მიუხედავად, ბოდბელი ეპისკოპოსი ძველებური რადიკალიზმით აღარ საუბრობს გახარიაზე. არ არის გამორიცხული, რომ მათ შორის რაღაც კომუნიკაცია შედგა.

– კომპრომატებს გააჩნია, რას უწოდებ. მე არ ვიცი, შსს-მ რა უნდა ქნას კომპრომატით, გინდ შსს-მ, გინდ რუსეთმა. თუ ძველად აგროვებდნენ, რუსეთის დროს, საბჭოთა კავშირის დროს აგროვებდნენ, მერე ახლა, გაგრძელდა თუ არა ხელისუფლებაში ეს, ვერ გეტყვით. რელიგიის საბჭო აღარ არსებობს, მასეთი უწყება ხილულად არ არის დღესდღეობით, – აღნიშნავს ბოდბელი ეპისკოპოსი.

სასულიერო პირებზე ერთ-ერთ სერიოზულ კომპრომატად განიხილება დეკანოზ გიორგი მამალაძის ციხიდან გამოგზავნილი წერილი. ეს წერილი დეკანოზმა 4 მღვდელმთავარს გაუგზავნა.

სინოდის წევრები ამტკიცებენ, რომ ამ წერილის თაობაზე არაფერი იციან, მეუფე იაკობი კი ამბობს, რომ ამ წერილის შინაარსი ყველა ეპისკოპოსმა იცის.

შაბათის კურიერთან საუბარში პატრიარქის ქორეპისკოპოსმა განაცხადა, რომ დეკანოზის წერილი საპატრიარქოში ხმამაღლა წაიკითხეს.

– ეს ახალი წერილი კი არ არის. თუ ვინმე ამბობს, რომ არ ვიცი, რა წერია წერილშიო, იტყუება. არაფერი ისეთი არ წერია. როდესაც ერთ-ერთმა ეპისკოპოსმა წაგვიკითხა, იქვე დაიბადა აზრი, რომ ასეთი ადამიანი არ შეიძლება, სასულიერო პირი იყოსო. ერთია, რომ წერ, მახარებელი ხომ არ არის, რომ რასაც წერს, ყველაფერი დაუჯერო, ხომ უნდა დაამტკიცო, რასაც წერ – შანტაჟი არის ჩვეულებრივი. თუ არ გამომიშვებენ, რაღაცები მაქვს და გამოვაქვეყნებ.

გამოაქვეყნოს, რაც უნდა. უშუალოდ, კონკრეტული ფაქტები არ არის, ზოგადად ლაპარაკობს კორუფციაზე, ზოგადად ლაპარაკობს, ჭირვეულივით არის. თუ არ გამომიშვებთ, ამას ვიზამ, იმას ვიზამო. გააკეთოს, რაც უნდა, – აცხადებს ბოდბელი ეპისკოპოსი.

ის დეტალების გამხელაზე უარს ამბობს. მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ წერილში საუბარია კომპრომატებზე, რომელთაც დეკანოზი სასულიერო პირებზე ფლობს.

ეს სკანდალური განცხადებები პატრიარქის ქორეპისკოპოსმა ამერიკაში ყოფნისას გააკეთა. ბოლო დროს ის ხშირად დადის ამერიკაში და ამბობს, რომ ეს პატრიარქის დავალებაა.

ამერიკაში მყოფმა ეპისკოპოსმა უკრაინის ავტოკეფალიის საკითხზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამერიკელი პარტნიორები დაინტერესდნენ, თუ რა პოზიცია უკავია საქართველოს უკრაინის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით.

მეუფე იაკობის განცხადებით, სინოდის წევრების უმრავლესობა ცალსახად უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მხარეს დგას, თუმცა მიიჩნევს, რომ ამ საკითხში აჩქარება მიზანშეწონილი არ არის.



პატრიარქის ქორეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ ქართული მხარის მხრიდან უკრაინის ავტოკეფალიის აღიარებას, შესაძლოა, რუსეთის მხრიდან მკვეთრი ნაბიჯები მოჰყვეს. მისი თქმით, არსებობს საფრთხე, რომ რუსეთი საპასუხოდ აფხაზეთისა და ცხინვალის ეკლესიებს აღიარებს.

ბოდბელი ეპისკოპოსი ამბობს, რომ ამერიკელებთან შეხვედრის დროს მან კონტრშეკითხვა დასვა, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრიანებას გულისხმობდა.

კერძოდ, ის დაინტერესდა, თუ რა მიზეზი აქვს ალიანსს იმისთვის, რომ ქვეყანას ნატოში არ იღებს.

– ჯერჯერობით, მათ ავტოკეფალია არ მიუღიათ, მაგრამ, მოვა დრო და მიიღებენ უკრაინელები. მაგასაც დამსახურება უნდა. მე ამერიკელებთან მქონდა ამ თემაზე საუბარი და გაგებით ეკიდებიან ამას. მე დავუსვი კონტრშეკითხვა – რა მიზეზი გაქვთ, ნატოში რომ არ გვიღებთ? ხომ გაქვთ მიზეზები-მეთქი? დიახო, მითხრეს. მე ვუთხარი, მიგვიღებთ ნატოში, ცნობაც მოჰყვება-მეთქი. მიგვიღებთ ნატოში? ჰოდა, გაეცინათ, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

# რატომ გაახსენდა ლუკაშენკოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონები?

## საოკუპაციო რეჟიმი: „ლუკაშენკოს ვერაფერს ვუკარნახებთ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ რამდენიმე თვის წინ წერდა, რომ რუსეთის სახელმწიფო დუმის წარმომადგენლებმა აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმს აუხსნეს, რომ აღიარების მისაღწევად მინსკთანაც იმუშავეს. ამის პასუხად ბელარუსის ლიდერმა მოსკოვისაგან მოითხოვა ეკონომიკური ზარალის ანაზღაურება, რომელიც მის ქვეყანას საერთაშორისო სანქციებით მიადგებოდა. საბოლოოდ, ლუკაშენკომ საქართველოს ოკუპირებული რეგიონები არ აღიარა. ამით ის ყოველთვის ამაყობდა საქართველოში ჩამოსვლის დროს.

საქართველოს საზოგადოებაში დიდი რეზონანსი მოჰყვა შაბათს გავრცელებულ ბელარუსის პრეზიდენტის გამოთქვამებს ამავე თემაზე. ალექსანდრე ლუკაშენკომ განმარტა, რატომ არ აღიარა მისმა ქვეყანამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის „დამოუკიდებლობა“.

2008 წელს მას დაელაპარაკა ნატოს მაშინდელი გენმდივანი ხავიერ სოლანა, რომელმაც ბელარუსს ამ ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში მოსალოდნელი სრული იზოლაცია აღუთქვა. ამაზე ლუკაშენკო რუსეთის იმდროინდელ პრეზიდენტ მედვედევს დაელაპარაკა, რომელმაც გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

– აფხაზეთს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბელარუსთან. ლუკაშენკოს ამ განცხადებას აფხაზეთში გაგებით ეკიდებიან. ვიმედოვნებთ, ოდესღაც მოხდება აღიარება ბელარუსის მხრიდანაც. ამ მომენტს დაველოდებით, – ასე გამოეხმაურა ლუკაშენკოს გამონათქვამებს ოკუპირებული აფხაზეთის ყოფილი პრემიერი და ყოფილი საგარეო მინისტრი სერგეი შამბა.

დე ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოზიცია უფრო მოზომილია.



– აფხაზეთს არ აქვს უფლება, რაიმე ურჩიოს და უკარნახოს ალექსანდრე ლუკაშენკოს, ვინაიდან იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოს პრეზიდენტია, – აღნიშნავს ხაჯიმბას ადმინისტრაციის წარმომადგენელი ასლან ბარციცი.

რატომ გაახსენდა ლუკაშენკოს საქართველოს ოკუპირებული რეგიონები?

რუსეთი ბელარუსს ერთიანი სამოკავშირეო სახელმწიფოსკენ ექაჩება, ლუკაშენკო კი მოსკოვს სხვადასხვა პირობას უყენებს და ამის პარალელურად სხვებთანაც თანამშრომლობს, მაგალითად, ევროკავშირთან.

დღეს იგი პირველად დათანხმდა რუსეთთან ერთიანი ვალუტის შემოღებას, ამასთან, განაცხადა, რომ გამოკითხული ბელარუსების 98%-ს რუსეთთან შეერთება არ უნდა.

შესაძლოა, ჩვენთვის მტკივნეული რეგიონების არაღიარება-აღიარების საკითხი მინსკის მოსკოვთან ერთ-ერთი სავაჭრო თემა იყოს. არავინ იცის, როგორ მოიქცევა ხვალ ბელარუსის მეთაური, რომელიც პრეზიდენტობას სიკვდილამდე აპირებს. მისგან არც აღიარებაა გამორიცხული და არც კონფლიქტების მოგვარებაში ჩართვა.

ლუკაშენკო არაერთხელ გამოსულა სამ-



შვიდობო საშუამავლო ინიციატივით და გამოუთქვამს მზადყოფნა, ითამაშოს როლი უკრაინისა და რუსეთის შერიგებაში.

მის ინიციატივას არ იღებს უკრაინა. დღეს ლუკაშენკო აღნიშნავს, რომ ევროპას დაავიწყდა კონფლიქტი სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში. ამის გამო აუცილებელია სამშვიდობო მოლაპარაკებებში აშშ-ის ჩაბმა.

დასავლელი ექსპერტები რუსეთ-ბელარუსის შესაძლო შეერთებაში სხვაგვარ საფრთხეს ხედავენ. არსებობს ვარაუდი, რომ პუტინი, რომელსაც რუსეთში პრეზიდენტობის ბოლო ვადა აქვს, ამ ვადის გასვლის შემდეგ ახალი გაერთიანებული სახელმწიფოს მეთაური გახდეს.

# საქართველოს ბანკსა და ბანკის მეანაბრეებს რომან ფიფიასთან არსებული დავა ვერ შეეხებათ



საქართველოს ბანკსა და ბანკის მეანაბრეებს რომან ფიფიასთან არსებული დავა ვერ შეეხებათ – ამის შესახებ „კომერსანტს“ „საქართველოს ბანკში“ განუცხადეს.

– 2018 წლის 27 აპრილს, რომან ფიფიამ თავად შეწყვიტა წარმოება საქართველოს ბანკის მიმართ. მის მიერ ინგლისის სასამართლოში წამოწყებულ დავაში ერთადერთი მოპასუხე – საქართველოს ბანკის ჰოლდინგური კომპანია BGEO Group Limited-ია. აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით საქართველოს ბანკის წინააღმდეგ გადაწყვეტილება ვერ იქნება გამოტანილი. BGEO Group Limited სარჩელს სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ უსაფუძვლო განცხადებებით კომერციული ბანკის ფინანსური სტაბილურობისა და ეროვნული ბანკის საქმიანობის ეჭვქვეშ დაყენება ზიანს აყენებს საქართველოს საბანკო სექტორს, – აცხადებენ საქართველოს ბანკში.

გავრცელებული ინფორმაციით, კომპანია, რომლის სახელითაც მოხდა წერილის დაგზავნა რამდენიმე თვის წინ არის დარეგისტრირებული, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანი მუშაობს, ამ კომპანიის ვებგვერდიც კი მიუწვდომელია. ირკვევა, რომ აღნიშნული კომპანია, სულ რამდენიმე თვეა არსებობს, კომპანიაში მუშაობს 1 ადამიანი მხოლოდ, რომელსაც უკავია კომპანიის როგორც დირექტორის, ასევე მდივნის პოზიცია.

შეგახსენებთ, დეპუტატი დავით ჭიჭინაძე ადასტურებს, რომ ნამდვილად მიიღო წერილი დიდი ბრიტანეთიდან, სადაც საუბარია საქართველოს ბანკთან დაკავშირებულ „საეჭვო თაღლითურ საქმიანობაზე“.

ჭიჭინაძის თქმით, წერილი ასევე მიიღეს ირაკლი კოვზანაძემ და პაატა კვიჟინაძემ.

წერილი, რომელზეც ჭიჭინაძე საუბრობს, MICHAEL O'KEEFE ASSOCIATES-ის მიერაა შედგენილი. მისი ადრესატები კი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე, ირაკლი კოვზანაძე, მისი პირველი მოადგილე, პაატა კვიჟინაძე და კომიტეტის წევრი, დავით ჭიჭინაძე, არიან.

მისივე თქმით, წერილში დადასტურებულია, რომ „საქართველოს ბანკის“ აქციონერები ისეთ აქტივს ფლობენ, რომლის შესახებაც BGO-ჯგუფი არ არის ინფორმირებული და რუსთავის აზოტის წინააღმდეგ დავა ბანკს პრობლემებს შეუქმნის.

მისი თქმით, „11 მარტს საქართველოში ჩამოვლენ წერილის ავტორები და არსებულ კითხვებზე პასუხი იქნება გასაცემი. ამისთვის მე მზად ვარ და ალბათ ეროვნულ ბანკსაც მოუწევს პასუხების გაცემა“.

– ამ საკითხს აუცილებლად პირველივე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე დავაყენებ და ასევე ვიზრუნებ, რომ წერილის ავტორები, რომლებიც ჩამოვლენ საქართველოში, ეროვნული ბანკის წარმომადგენლებსაც შეხვდნენ, – განაცხადა ჭიჭინაძემ.

# სიმონ ნოზაძე: „რუსეთს არ აქვს საქართველოს საქმეებში ჩარევის უფლება“

## „ჩვენი მომავალი ნატოსა და ევროკავშირშია“

გულიკო ბალაძე

რას ნიშნავს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის ბოლოდროინდელი განცხადებები საქართველოს მისამართით? რუსეთი საქართველოს აგვისტოს ომის სცენარით ემუქრება? შეიძლება რუსეთის მუქარის გამო გეოპოლიტიკური ვექტორის შეცვლა და ნატოსა და ევროკავშირზე უარის თქმა? – ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის წევრი სიმონ ნოზაძე ესაუბრა.



***– ბატონო სიმონ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ საქართველო უნდა დაფიქრდეს, ნატოში შესვლა ურჩევნია თუ კავკასიაში სტაბილურობა. სხვა განცხადებებიც იყო. როგორ აფასებთ თქვენ კრემლის ასეთ ღია მუქარის შემცველ განცხადებებს?***

– ცხადია, უარყოფითად ვაფასებ. სხვა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა აბსოლუტურად გაუმართლებელია, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რას ამბობს, ამით რა სიგნალს აგზავნის, რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას რუსეთმა. ამის გაანალიზება უნდა ხდებოდეს, ქვეტექსტებში უნდა წავიკითხოთ.

***– თქვენ რა წაიკითხეთ მათ განცხადებებში?***

– მე სხვა ინფორმაციას არ ვფლობ. ამიტომ ახლა მიჭირს თქმა.

***– თქვენ საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილე ბრძანდებოდით და, პირველ რიგში, ალბათ ეს სამსახურები ახდენენ ანალიზს.***

– მაშინ, როცა მე ამ სამსახურში ვიყავი, უამრავი ინფორმაცია გვქონდა. ახლა მე ერთი კვირაა, აქ არ ვყოფილვარ. ამიტომაც ახლა რაიმეს თქმა მიჭირს. ჩემთვის მიუღებელია, როცა ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანას ასე ეუბნება.

თვითონ კარასინს აქვს იმის ფორმატი, რომ ზურაბ აბაშიძეს გაუზიაროს ნათქვამი და მან გადმოსცეს – ზურაბ აბაშიძის მეშვეობით შემოუთვალოს ხელისუფლებას თავისი პოზიცია. ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს მხარემ უნდა გავაანალიზოთ და ჩვენს მეგობრებთან ერთად მოვიფიქროთ, რასთან გვაქვს საქმე, რა შეიძლება გავაკეთოთ.

***– ხომ აშკარად ღია მუქარაა?***

– მოდი, მაგას ნუღარ შემაფასებინებთ. სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა ჩემთვის მიუღებელია. მუქარაა თუ არა? რა თქმა უნდა, მუქარაა.

***– ანუ რუსეთი ჩვენ არჩევანის წინაშე გვაყენებს, რომ ავირჩიოთ ან ნატო, ან კავკასიაში სიმშვიდე. ე.ი. რუსეთს ჩვენი ნატოსთან ასოცირება აშფოთებს.***

– რუსეთს ასე ჰგონია, ჩვენ გვგონია, რომ ნატოსთან ერთად უფრო მშვიდად ვიქნებით. ამიტომ მაგაზე ვერასოდეს შევთანხმდებით. ამიტომ ჩვენ ჩვენს პოზიციაზე უნდა დავრჩეთ. იმაში ორი აზრი არ არსებობს, რომ ჩვენ ჩვენს ხაზს არ გადავუხვევთ, ვინც უნდა გვითხრას და ვინც უნდა დაგვემუქროს. დაგვემუქრნენ კიდევაც, ომიც დაგვიწყეს, მაგრამ კურსისთვის არ გადაგვიხედავს.

მთავარია, რუსეთი რას ამბობს, რა სიგნალს აგზავნის. აგვისტოს ომის წინაც მოდიოდა რაღაც სიგნალები, რომლებიც ქართული მხარის მიერ არასწორად იქნა გაანალიზებული. ჩემი აზრით, ჩვენს მეგობრებთან ერთად უნდა შეგვეძლოს ამ სიგნალის, ამ ინფორმაციის გაანალიზება, რომ ჩვენ ჩვენი ზომები მივიღოთ.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსეთი აგვისტოს ომის სცენარით გვემუქრება?***

– არა, არა, გამორიცხულია, რომ ახლა ვინმემ ომი დაგვიწყოს. ტყუილია. თუ კრემლმა ომი დაგვიწყო, აქ ომი არ იქნება რუსეთსა და საქართველოს შორის, მაშინ აქ ომი იქნება სხვა მასშტაბით. ის, რომ ჩემი არჩევანის გულისთვის ვინმემ ომი დამიწყოს, გამორიცხულია. ჩვენი ქმედებები ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან შესათანხმებელია. რაიმე პროვოკაციას ჩვენ არ უნდა წამოვეგოთ.

ჩვენ ჩვენი მშვიდობიანი გადაწყვეტილებით არავის ზიანს არ ვაყენებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ნატოსა და ევროკავშირშია. სხვა ქვეყანა თუ სხვანაირად მიიჩნევს, მისი პრობლემაა. ეს არ არის ჩვენი პრობლემა.

***– რადგან რუსეთის მისამართით არ გინდათ გაუშვათ რაიმე მესიჯები, ნატოზე გკითხავთ.***

– მეტი რა უნდა ვთქვა? გამოვიდეთ და ვეომოთ? რუსეთს თავისი აზრი აქვს. მე საქართველო ვარ და ჩემი აზრი მაქვს – ჩემს მომავალს ვხედავ ნატოსა და ევროკავშირში. ის რომ ვერ ხედავს, ეს მისი პრობლემაა. მათ განცხადებებს რა მოჰყვება, ამის ანალიზის უნარი უნდა გვქონდეს.

***– საქართველოს სპეციალური სამსახურები, ალბათ, აანალიზებენ რუსეთიდან გამოგზავნილ ინფორმაციებს.***

– სპეციალურ სამსახურებს ყველანაირი ინფორმაცია ექნება და გააანალიზებენ, მე არ მაქვს სხვა ინფორმაცია. მე მხოლოდ იმ ინფორმაციას ვეყრდნობი, რომელიც კარასინმა ღიად თქვა, რაც ჩემთვის მიუღებელია.

***– 2008 წელს, სანამ ომი იქნებოდა, მაპზე გვითხრეს უარი. შემდეგ მოხდა ომი. 2008 წლის ომის შემდეგ, ფაქტობრივად, ნატოში მიღების საკითხი აქტიური იმ დონეზე არ ყოფილა, როგორც, მგონი, ახლა.***

– თავს ნუ მოვიტყუებთ, საქართველოს ნატოში მიღების საკითხი აქტუალური იმ დონეზე არ არის, რომ ახლა მიგვიღონ. არც ევროკავშირში მიღების საკითხია აქტიური. ევროკავშირსაც აქვს თავისი პრობლემები. მათ აქვთ ბევრი პრობლემა და იმაზე არიან კონცენტრირებული, მაგრამ ჩვენ მშვიდად, აუღელვებლად, აუჩქარებლად, სტაბილურად უნდა მივყვეთ.

ჩვენ ვართ ევროპული მენტალიტეტის ქვეყანა და ამიტომ ჩვენს მომავალს ევროკავშირში ვხედავთ. ვფიქრობ, საქართველო ევროკავშირში უფრო ადრე შევა.

***– მე მგონი, ნატოს საკითხი უფრო აქტიური გახდა ბოლო პერიოდში გამართულ სამიტზე.***

– იქ ნატოს მხრიდან გაისმა განცხადებები და იმიტომ გააქტიურდა, მაგრამ, არა მგონია, ახლა მიღებაზე იყოს საუბარი. თუ საკითხი ისე დგას, რომ ახლა მიგვიღებენ, ნეტა მიგვიღონ.

***– ყოველ შემთხვევაში, რაღაც სიგნალი ხომ არ მიიღო რუსეთმა, როცა ასეთი რეაქცია აქვს?***

– ეს რუსეთის დაზვერვას, მათ დიპლომატიას ეცოდინება. მათ წარმომადგენლები ჰყავთ ნატოშიც და ევროკავშირშიც. ჩვენ ჩვენი ურთიერთობა უნდა გავაგრძელოთ, როგორც ახლა ქალბატონი სალომე რომ ჩავიდა საფრანგეთსა და გერმანიაში. სხვა ქვეყნებთან მუშაობაა საჭირო, ვთქვათ, ჰოლანდიასთან, იტალიასთან და ყველასთან მუშაობაა საჭირო.

ამ თემაზე უნდა ვიმუშაოთ აუჩქარებლად, გეგმაზომიერად, დიპლომატიის ყველა ფორმის გამოყენებით. ასე უცბად არ იქნება წევრობა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ასე სწრაფად არ შესულან ევროკავშირსა და ნატოში. მათაც თავიანთი გზა გაიარეს. ჩვენც ჩვენი გზა გვაქვს გასავლელი. ჩვენ პოზიცია არჩეული გვაქვს და აღარ გადავუხვევთ. გეოპოლიტიკური ვექტორი ყოველ ათ წელიწადში ერთხელ არ იცვლება.

გეოპოლიტიკური ვექტორის შეცვლა შეუძლებელია. სხვა საქმეა, ვისთან რა თემებზე შეიძლება საუბარი. მათ შორის რუსეთთანაც. შეიძლება, რაიმე შეხების წერტილები გამოინახოს, თორემ, გამორიცხულია, საქართველომ სტრატეგიული არჩევანი შეიცვალოს. ეს აღარ მოხდება.

***– თქვენ თქვით, რომ ნატოს უსაფრთხოების ფარქვეშ საქართველო მშვიდად იგრძნობს თავს.***

– საქართველოს უსაფრთხოებას მე მაგას ვუკავშირებ. ქართველმა ხალხმა ეს ღიად დააფიქსირა. აბსოლუტური უმრავლესობა ნატოში გაწევრიანების მომხრეა. ნატოს ფარქვეშ უფრო უსაფრთხოდ ვიქნებით.

***– როცა ნატოზე საუბარიც არ იყო, რუსეთი მაშინაც ძალიან აქტიურად გვებრძოდა. მაშინ რა აფრთხობდა რუსეთს?***

– როდის არ იყო ნატოზე საუბარი?

***– 1991-1994 და შემდგომ წლებში.***

– მაშინ საბჭოთა კავშირიდან გამოვედით და საქართველო გახდა უმთავრესი მიზეზი საბჭოთა კავშირის დაშლისა. 9 აპრილმა მისცა ბიძგი ამ პროცესებს. მერე იყო ბაქო, ვილნიუსი და ა.შ.

***– რუსეთს ყოველთვის აშფოთებდა და აშფოთებს მის მეზობლად მყოფი დამოუკიდებელი ქვეყნების არსებობა. ამიტომ არა მარტო ჩვენთან, არამედ სხვაგანაც იბრძვის.***

– ახლა მე და თქვენ რუსებს ნუ შევაფასებთ. რუსების ისტორია ყველამ კარგად იცის. მათი აზროვნების სტილიც იციან და ყველაფერი. ერთ ქვეყანაში ვიზრდებოდით და ვიცით, ვინ როგორ ფიქრობს. უფროსმა თაობამ ეს კარგად იცის. ამიტომაც არის დამოუკიდებლობის მოპოვება რთული საქმე არსებულ გეოპოლიტიკურ სიტუაციაში. სხვა საქმე იყო, როდესაც დიდ ბრიტანეთს ჰქონდა იმპერია და დაიშალა და გარკვეულმა ქვეყნებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ახლახან მივლინებით სლოვაკეთში ვიყავით. ჩეხეთი და სლოვაკეთი დასხდნენ, მშვიდობიანად მოილაპარაკეს და ისე გაიყვნენ, რომ არც ერთი დარჩა უკმაყოფილო. ორივე ნორმალურად ცხოვრობს. ერთი კარგად ცხოვრობს, მეორე – ძალიან კარგად, თავისი დამოუკიდებლობით კმაყოფილია, მრეწველობასაც ავითარებს, სოფლის მეურნეობასაც. თუმცა, სლოვაკეთიც უცბად არ გამხდარა ევროკავშირის წევრი, ხანგრძლივი დრო დასჭირდა.

ჩვენ შიგნით შეცდომები არ უნდა დავუშვათ. საერთო ეროვნულ საკითხებზე ოპოზიციასა და პოზიციას თუ საერთო პოზიცია ექნება შემუშავებული, მაშინ გაცილებით იოლია წარმატების მიღწევა. ახლა ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, ზოგიერთი ოპოზიციური ძალა ხალხს აგულიანებს, რომ ქვეყანაში სიტუაცია დალაგებული არ იყოს.

***– კერძოდ?***

– ვგულისხმობ საზღვარგარეთ სააკაშვილის მიერ ჩატარებულ რაღაც შეკრებების მაგვარს, 100 და 200-კაციანს, რომ ქვეყანაში სიტუაცია აურიოს.

***– შეძლებს სიტუაციის არევას?***

– არა, გამორიცხულია. 2020 წელი მოვა, არჩევნები ჩატარდება. რთული არჩევნები იქნება. გაცილებით მეტი პარტიული სამუშაო უნდა ჩაატარონ პოლიტიკურმა ძალებმა, მათ შორის იმ ძალებმაც, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან. პრაქტიკულად, 2020 წელს ბევრი რამ გადაწყდება. მანამდე არაფერი შეიცვლება.

– რუსული პოლიტელიტის აზროვნება იმნაირად არის კონსტრუირებული, რომ მოლაპარაკების გზით გადავწყვიტოთ პრობლემები?

– ამას სჭირდება გაცილებით დიდი დიპლომატია ქმედებაში, რათა ეს შევძლოთ და არა ის, რომ ქვეყნის გარედან ვიღაც გვემუქრება და შიგნით ზოგიერთ ქართულ ძალას სიტუაციის არევა აწყობს. შიგნით არ უნდა იყოს არეულობა. ერი უნდა იყოს მობილიზებული.

# მამუკა სალუქვაძე: „ინვესტორები თბილისში პერიფერიებისკენ გადაინაცვლებენ“

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ავტორი კომპანიის, „სითი ინსტიტუტი-საქართველოს“ დირექტორ მამუკა სალუქვაძის განცხადებით, გენგეგმის პრაქტიკაში განხორციელების შედეგად „ჩვენ სხვანაირ ქალაქს მივიღებთ“.



გენგეგმის ძირითად საკითხებზე სალუქვაძემ ელენე კვანჭილაშვილის გადაცემა „ანალიტიკაში“ ისაუბრა.

მისი განცხადებით, ურბანული დაგეგმარების, არქიტექტურულმა და სხვა სამსახურებმა სწორედ ამ დოკუმენტით უნდა იხელმძღვანელონ.

– მომავალში ჩვენ მივიღებთ სხვანაირ ქალაქს, რომელიც გარკვეული ჩამოყალიბებული იდეოლოგიით იქნება განვითარებული და არა – ასეთი ქაოტური. ეს იდეოლოგია არის ის კონცეფცია, რომელიც ჩვენ შევთავაზეთ მერიას – კომპაქტური, მწვანე ქალაქი, კარგად შეკავშირებული და ქმედითი ქალაქი, – განაცხადა სალუქვაძემ.

გადაცემაში საუბრისას მან აღნიშნა, რომ „კარგად შეკავშირებული ქალაქი“ ითვალისწინებს როგორც უზრუნველყოფილ საზოგადოებრივი ტრანსპორტს, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებას.

სალუქვაძის თქმით, გადაადგილების მხრივ, გენგეგმა უპირატესობას ფეხით მოსიარულეს ანიჭებს, შემდეგში – ველოსიპედით, ხოლო ბოლოს კერძო მანქანით მოსიარულეს. მისი განცხადებით, თითქმის ყველა ქუჩა უზრუნველყოფილი იქნება ველოსიპედის გზებით.

– რა თქმა უნდა, ძალიან რთულად წავა პროცესები და ყველაფერი ერთი ხელის მოსმით არ გაკეთდება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ მიწოდებული ის კონცეფცია და ის იდეოლოგია, რომელიც ქალაქმა მიიღო და მოიწონა, დაგვეხმარება, რომ ქალაქმა სხვანაირი ცხოვრებით იცხოვროს. ევროპული ქალაქები რომ მოგვწონს და კარგად რომ ვგრძნობთ ხოლმე თავს, ასეთი გარემო უნდა შევქმნათ, – აღნიშნა მამუკა სალუქვაძემ.

გარდა ამისა, სალუქვაძე ამბობს, რომ გარკვეული ტერიტორიების ათვისებასთან დაკავშირებით კონკურსები და ტენდერები ჩატარდება, იმ შემთხვევაში კი, თუ ინვესტორები არ დაინტერესდებიან, შესაძლოა, მერიამ კერძო სექტორს მათზე უფრო მეტად მორგებული წინადადებები შესთავაზოს.

– ჩვენით მოვნიშნეთ დაახლოებით, 40-50 ჰექტარი ფართობის პოლიცენტრული არეალებიც, თბილისის თანაბარი განვითარებისთვის. ეს არის დიდი საცხოვრებელი კვარტლების მიმდებარედ არსებულ მაგისტრალებთან ტერიტორიები, როგორებიც არის: დიდი დიღომი, გლდანი, „ისთ ფოინთთან“, სამგორისკენ და ა.შ. ეს ის ტერიტორიებია, რომელთა განვითარებაც შეიძლება და ისინი ამას საჭიროებენ, – აცხადებს მამუკა სალუქვაძე.

მისივე თქმით, კერძო სექტორის ამ ლოკაციებით დაინტერესების მიზეზი არის ის, რომ „ინვესტორებისთვის ნებართვები მთის ფერდობებზე მშენებლობებისთვის აღარ გაიცემა და, ამ შეზღუდვებიდან გამომდინარე, ისინი პერიფერიებისკენ გადაინაცვლებენ“.

BM

# „კომერციული ფართები ყველაზე მეტად აღმაშენებლის გამზირზე დაცარიელდა“

თბილისის ცენტრალურ უბნებში კომერციული ფართების გაყიდვისა და გაქირავების ტენდენცია საგრძნობლად შემცირებულია. ამის შესახებ უძრავი ქონების სააგენტო myclient.ge-ში აცხადებენ.



ამის მიზეზად სააგენტოში კომერციული ფართების ფასს ასახელებენ, რომელსაც მესაკუთრეები თავიანთი სურვილის მიხედვით, თუმცა, შეუსაბამოდ ადებენ, რაც ინვესტორებისთვის მისაღები ღირებულებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

როგორც კომპანიის დირექტორი გვანცა გუჯელაშვილი განმარტავს, „კომერციული ფართები ყველაზე მეტად აღმაშენებლის გამზირზე გამოცარიელდა, მაშინ როცა ეს ქუჩა უცხოელი ინვესტორების მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და, შესაბამისად, დაკავებულიც იყო“.

– ცენტრალურ უბნებში კომერციული ფართების ღირებულება (კვადრატული) 3000-5000 ლარის ფარგლებში მერყეობს, მესაკუთრეები კი თითქმის ორმაგს აფასებენ. ანუ, ბაზარზე არის ასეთი მდგომარეობა – ერთი მხრივ, ყველას უნდა, საკუთარი უძრავი ქონება ერთგვარ შემოსავლის წყაროდ აქციოს, გაყიდოს ან გააქირავოს, მაგრამ ამის მიუხედავად, ხდება ისე, რომ მესაკუთრეები არასწორად, ბაზრის მოთხოვნებისგან განსხვავებულ ფასს ადებენ ქონებას, რაც თავისუფალი ფულადი სახსრების დაბანდების მსურველებს აფრთხობს და, შესაბამისად, მათ შორის მოლაპარაკებების წარმოება შეუძლებელია, – აცხადებს გუჯელაშვილი.

Myclient.g-ს ბროკერების თქმით, კომპანიას სხვადასხვა საქმიანობის განხორციელების მიზნით, კომერციული ფართების ყიდვის ან დაქირავების სურვილით ყოველდღიურად მიმართავენ ინვესტორები.

მოთხოვნიდან გამომდინარე ყველაზე მოთხოვნადი ტერიტორიებია: აღმაშენებლის გამზირი, ვაკე-საბურთალო და ძველი თბილისი.

– როდესაც ჩვენთან მოდიან ადამიანები, რომლებსაც კომერციული საქმიანობისთვის სურთ ფართის დაქირავება, ისინი ცალსახად განმარტავენ, რომ იჯარის ოდენობამ ფართის ღირებულების ამოღება 10 წელიწადში უნდა მოახდინოს“, – განმარტავენ სააგენტოში.

BPN

# ლავას ოღლისთან და სხვა კანონიერ ქურდებთან კავშირის გამო სენაკსა და ფოთში 3 კაცი დააკავეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სენაკსა და ფოთში ერთდროულად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 3 წევრი დააკავეს.

დაკავებულებს ბრალად ედებათ ქურდული სამყაროს წევრობა.

აღნიშნულის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ მამუკა ჭელიძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა.

შსს-ს ინფორმაციით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დაკავებულები არიან: 1977 წელს დაბადებული ი.ჩ. და წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევები: 1979 წელს დაბადებული მ.გ. და 1978 წელს დაბადებული მ.ლ.

ჩადენილი დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ, კერძოდ, დაკავებულებს კავშირი ჰქონდათ უცხოეთში მყოფ „კანონიერ ქურდებთან“ – ლავას ოღლი, იგივე მინდია გორაძესთან, ჯუმბერ ბაირამიდითთან (მეტსახელი ბონჩო), სტავრო ბაირამიდითთან – (მეტსახელი როკო), დათო ჩხიკვიშვილთან, მერაბ მზარელუასთან და როლანდ გეგეჭკორთან.

ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულებმა რამდენიმე მოქალაქეს ე.წ. კანონიერ ქურდებთან შეთანხმებით, „ქურდული გარჩევა“ მოუწყვეს და დიდი ოდენობით თანხას სძალავდნენ.

გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე სამართალდამცველებმა ფარული საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს, სადაც დანაშაულებრივი ქმედებებია ასახული“, – აცხადებენ შსს-ში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებებს დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა დაკავების მიზნით.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით.

* * *

ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით სამეგრელოში დაკავებული მანუჩარ გაბუნია და მამუკა ლაგვილავა დუმილის უფლებას იყენებენ.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ბრალდებულების ადვოკატმა ჯიტა გულუამ 2 მარტს განუცხადა.

– ორივეს ედავებიან ქურდული სამყაროს წევრობას, თუმცა ისინი დუმილის უფლებას იყენებენ. გამოძიება გვეუბნება, რომ აქვთ საკმარისი მტკიცებულება, თუმცა ამის თაობაზე ბრალის წარდგენის შემდეგ იქნება ცნობილი. ორივეს საცხოვრებელ სახლში ჩატარდა ჩხრეკა, თუმცა რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი არ ამოუღიათ, – აღნიშნა ადვოკატმა ჯიტა გულუამ.

ადვოკატების ინფორმაციით, 2 მარტს დილით ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად აყვანილი 20-მდე პირიდან უმეტესობამ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის შენობა დატოვა. მათი ადვოკატების ინფორმაციით, ისინი გამოკითხვაზე მხოლოდ მოწმის სახით იმყოფებოდნენ და ქურდულ სამყაროსთან არანაირ კავშირში არ არიან.

– ჩემი დაცვის ქვეშ მყოფთან კითხვები ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, კავშირი ჰქონდა თუ არა ქურდულ სამყაროსთან. ჩემმა დაცვის ქვეშ მყოფმა უპასუხა შეკითხვებს. ის არ იყო დაკავებული, ის დაბარებული იყო მხოლოდ დაკითხვის მიზნით.

მის საცხოვრებელ სახლში ჩატარდა ჩხრეკა სასამართლოს განჩინებით, თუმცა საქმეში მის წინააღმდეგ რაიმე მტკიცებულება არ არსებობს, – აცხადებს ადვოკატი ზურაბ კინტირია.

3 მარტს 3 დაკავებულს ბრალი წაუყენეს ქურდული სამყაროს წევრობის გამო.

– სასამართლო განჩინებაში იყო მითითება იმაზე, რომ აქვთ კავშირი ქურდულ სამყაროსთან და ახორციელებენ საქმიანობას, რაც მხარდაჭერა გამოდის ქურდული სამყაროსი და ა.შ. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ გამოკითხვა მოხდა მოწმის სახით, შესაბამისი კითხვებიც იქნა დასმული, მაგრამ ბუნებრივია, რაიმე კავშირი უარყვეს ქურდულ სამყაროსთან.

ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა კომპიუტერი, აგრეთვე მობილური ტელეფონი, ასევე მეხსიერების ბარათები, თუმცა ეს პირები აღნიშნავენ, რომ ეს მათი საკუთრებაა, – განაცხადა ადვოკატმა ბაჩუკი ყურაშვილმა.

# პროკურატურამ ზესტაფონის გამგებლის ყოფილი მოადგილე ხ.გ. დააკავა

პროკურატურამ ზესტაფონის გამგებლის ყოფილი მოადგილე ხ.გ. დააკავა.

უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია,



რომ მას სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ედება ბრალად.

ბრალდებული ასევე ხელმძღვანელობდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებების ინსპექტირების ჯგუფს, რომელსაც სამუშაოების ხარისხის დადგენა, ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება ევალებოდა.

სწორედ ერთ-ერთი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულებაში გამოვლენილი ხარვეზების გამო მოხდა ხ.გ-ს დაკავება.

„2014 წლის 6 ივნისს ზესტაფონის მუნიციპალიტეტმა და შპს „ტობემ“ სოფელ ტაბაკინის გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოს შესასრულებლად 930.195 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმეს.

სამუშაოს პროცესში დეფექტებისა და ნაკლოვანებების გამოვლენის გამო ტექნიკურმა ზედამხედველმა არაერთხელ მიმართა წერილობით გამგეობას და აცნობა, რომ სამუშაოები ჩატარებული იყო ხარვეზებითა და პროექტის დარღვევით.

შესაბამისი დოკუმენტაცია დაეწერა ხ.გ-ს, რომელსაც სრული წარმოდგენა ჰქონდა არსებული ნაკლოვანებების თაობაზე, თუმცა დაკისრებული სამსახურებრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა.

კერძოდ, ხ.გ.-მ საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, ტექნიკური ზედამხედველის დადებითი დასკვნის არარსებობის პირობებში, რაც, ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოს ჩაბარების საფუძველი უნდა ყოფილიყო, უპირატესობა მიანიჭა შპს „ტობეს“ და უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებზე გაუფორმა მიღება-ჩაბარების აქტები. დოკუმენტების მიხედვით, სამუშაოები შესრულებული იყო დამაკმაყოფილებლად, შესაძლებელი იყო ღირებულების ანაზღაურება და შედეგად შემსრულებელს ჩაერიცხა თანხა.

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით დადასტურებულია, რომ შესრულებული სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი უხარისხოა.

გამგებლის მოადგილის ქმედებით არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი, მატერიალურმა ზიანმა კი 346.953 ლარი შეადგინა“, – აღნიშნულია განცხადებაში.

# ზუგდიდში ლიბერთი ბანკის ინკასაციაზე თავდასხმისას 100.000 ლარი გაიტაცეს




2 მარტს ზუგდიდში ლიბერთი ბანკის ინკასაციის მანქანა ფულის გადატანისას დააყაჩაღეს.

დაჭრილია ინკასატორი, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს და ოპერაცია გაუკეთეს.

თავდამსხმელები ცეცხლსასროლი იარაღებით იყვნენ შეიარაღებულნი და მათ ინკასაციის მანქანას ცეცხლი გაუხსნეს.

ყაჩაღობის დროს თავდამსხმელებმა 100 ათასი ლარის წაღება შეძლეს.

ცნობილია იმ ავტომანქანის მეპატრონის ვინაობაც, რომლითაც დამნაშავეები გადაადგილდებოდნენ.

მანქანას ექსპერტიზა ჩაუტარდა.

ყაჩაღობა დილით მოხდა.

– სროლა იყო ჩემი ფანჯრის წინ, გავიხედე და მასკები ეკეთათ და აქეთ-იქით ისროდნენ. ავტომატები იყო. დაჭრილი კაცი ვნახე, ხესთან იდგა. 4 თავდამსხმელი იყო, პატარა მანქანა იყო, შავი, გრძელი იყო, – ყვება ერთი თვითმხილველი კურიერთან.

– გავიხედე, ვნახე დაჩოქილი ბიჭი და ორი ზურგით სუსტი ახალგაზრდა მასკებით, მეტი არაფერი, ავტომატებით იყვნენ. შემეშინდა და შიგნით შევედი, – ყვება მეორე.

პოლიცია თავდამსხმელების ვინაობის დადგენაზე მუშაობს. ამოღებულია სათვალთვალო კამერების ჩანაწერები.

# დიდმა ბრიტანეთმა საქართველოს ჯეკ შეფერდის ექსტრადირება მოსთხოვა



დიდმა ბრიტანეთმა საქართველოს ხელისუფლებას ბრიტანეთის მოქალაქის ჯეკ შეფერდის ექსტრადირების მოთხოვნით მიმართა, რომელიც ბრიტანულმა სასამართლომ დაუსწრებლად ახალგაზრდა ქალის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაში დამნაშავედ ცნო.

ამის შესახებ გამოცემა „გარდიანი“ წერს.

„დიდი ბრიტანეთის პროკურატურამ დაადასტურა, რომ ქვეყნის ძალოვანმა უწყებამ საქართველოს ხელისუფლებას ექსტრადირების შესახებ მოთხოვნა გაუგზავნა. თუმცა გაურკვეველი რჩება, როდის გაიგზავნა ოფიციალურად აღნიშნული მოთხოვნა, ვინაიდან ამასთან დაკავშირებით ძალოვან უწყებაში კომენტარს არ აკეთებენ“, – წერს გამოცემა.

როგორც ცნობილია, 29 იანვარს სასამართლო პროცესზე ჯეკ შეფერდმა უარი განაცხადა გამარტივებული წესით ექსტრადიციაზე. მისი ადვოკატის მარიამ კუბლაშვილის განცხადებით, „შეფერდმა აირჩია ქართული ციხე, ვიდრე დაბრუნებულიყო გაერთიანებულ სამეფოში, სადაც საფრთხე ემუქრება“.

ბრიტანეთის მოქალაქე ჯეკ შეფერდი, რომელიც საქართველოში მიმალვაში იმყოფებოდა, ახალგაზრდა ქალის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობაშია მსჯავრდებული. უცხოური მედიის ინფორმაციით, შეფერდი საკუთარ კატერს ნასვამ მდგომარეობაში მართავდა, სიჩქარის გადაჭარბების გამო კატერი გადაბრუნდა, რასაც მისი მეგობარი გოგონას, 24 წლის შარლოტა ბრაუნის სიცოცხლე ემსხვერპლა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, უწყებამ გაერთიანებული სამეფოს ძებნილი მოქალაქე თბილისში დააკავა.

1987 წელს დაბადებული ჯეკ შეფერდი ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში 23 იანვარს ადვოკატებთან ერთად გამოცხადდა და საქართველოს პოლიციას ჩაბარდა.

# აბაშაში მიკროავტობუსი მანქანას დაეჯახა

## 10 ადამიანი დაშავდა

2 მარტს აბაშაში მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 10-მდე ადამიანი დაშავდა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომანქანა და მიკროავტობუსი შეეჯახნენ.

დაშავებულების ნაწილი ქუთაისში გადაიყვანეს. ქუთაისის რეფერალურ ჰოსპიტალში 5 პირი შეიყვანეს.

კლინიკის დირექტორის ირაკლი გოგინავას თქმით, ჰოსპიტალიზებული პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

– ამ დროისთვის შემოყვანილია 5 ადამიანი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმის არის და სტაბილურია. მხოლოდ ერთს აქვს ზედა კიდურის მოტეხილობა და დასჭირდება ქირურგიული ჩარევა“, -განაცხადა ირაკლი გოგინავამ.

დაშავებულების სხვა ნაწილის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მათი ქუთაისში გადაყვანა საჭირო არ გახდა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# ბათუმში მომხდარი დაჭრის გამო 5 პირი დააკავეს

ბათუმის საავადმყოფოში მომხდარი დაჭრის ფაქტზე სამართალდამცველებმა 5 პირი დააკავეს. ძიება სამი მუხლით მიმდინარეობს, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა და ხულიგნობა იარაღის გამოყენებით.

ახალგაზრდებს შორის დაპირისპირება ბათუმი-ხელვაჩაურის გზაზე დაიწყო, შემდეგ კი ჩხუბი იმ საავადმყოფოში გაგრძელდა, სადაც დაშავებულები გადაიყვანეს.

ერთ-ერთ დაშავებულს მუცელში აღენიშნებოდა ჭრილობები, მეორეს კი – ბარძაყის არეში. ორივე მათგანს ოპერაცია ჩაუტარდა. მესამე დაშავებულს ჭრილობები თავის არეში აღენიშნება.

# გორის ცენტრში იარაღი გაისროლეს



2 მარტს გორის ცენტრში ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ გაისროლეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, შემთხვევა სასტუმრო „ინტურისტის“ წინ მოხდა.

როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ახალგაზრდა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში ისროლა. ის საქორწინო ცერემონიალის მონაწილე იყო.

„მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ს 236-ე მუხლის III და IV ნაწილებით დაიწყო. იარაღზე დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები“, – განაცხადეს შსს-ში.

# ქუთაისში ბმვ კორპუსს შეეჯახა

ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

მაღალი სიჩქარით მოძრავი ბმვ-ს მარკის ავტომობილი საპირისპირო მიმართულებით მოძრავ მანქანას შეეჯახა, ამის შემდეგ კი მოცურდა და გაჩერების რკინის კონსტრუქციასა და კორპუსს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა 1 ადამიანი.

ადგილზე საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფები იყვნენ მობილიზებული.

# რატომ არ აღიარა ბელორუსმა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი



ბელორუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ცხინვალის კონფლიქტის შემდეგ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებდა. პუტინთან უკვე ყველაფერი შეთანხმებული იყო.

– ჩემს მაგიდაზე სათანადო ბრძანება უკვე იდო. მას მხოლოდ ჩემი, ანუ პრეზიდენტის ხელმოწერა აკლდა, – განაცხადა ლუკაშენკომ.

ამ დროს ლუკაშენკოს ნატოს მაშინდელი თავკაცი ჰავიერ სოლანა ეწვია. მან ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე განუცხადა, რომ თუ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს აღიარებდა, აბსოლუტურ იზოლაციაში მოექცეოდა.

– მეც იძულებული გავხდი, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე უარი მეთქვა, – თქვა ლუკაშენკომ.

ბელორუსის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ პუტინს ყოველივე ამის თაობაზე გულახდილად მოახსენა.

– მას არაფერი დაუძალებია. მან შესანიშნავად გამიგო, – ამბობს ლუკაშენკო.

# ალჟირში 82 წლის პრეზიდენტის გადაყენებას მოითხოვენ



ალჟირში საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. მანიფესტანტები პრეზიდენტ ბუტეფლიკის გადადგომას მოითხოვენ, რომელიც 82 წლისაა.

დემონსტრაციაში 10.000-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

პოლიციამ დემონსტრანტთა დაშლა ცადა. მოხდა შეტაკება. დაზიანდა 186 მანიფესტანტი.

არაბული გაზაფხულის შემდეგ ეს ყველაზე მასობრივი საპროტესტო აქციებია.

# ტრამპი: „2020-ში უფრო დამაჯერებლად გავიმარჯვებ“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე უფრო დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს.

ამ თემაზე მან მერილენდში კონსერვატორი აქტივისტების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

– რასაც ჩვენ ერთად მივაღწიეთ, აქამდე ისტორიაში არასოდეს მომხდარა. რასაც ჩვენ 2016 წელს მივაღწიეთ, დიდი გამარჯვება იყო. ვფიქრობ, 2020-ში კვლავ გავიმარჯვებთ და ეს გამარჯვება გაცილებით დიდი და დამაჯერებელი იქნება, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა გამოძიებაზე, რომელიც ტრამპსა და რუსეთს შორის შესაძლო კავშირებს ეხება.

– ეს ყალბი საქმეა. მათ არანაირი მტკიცებულებები არ აქვთ. რუსეთთან შეთქმულებას არ ჰქონია ადგილი. ამიტომაც ახლა ამბობენ, მოდით, შევისწავლოთ ტრამპის ყველა გარიგებებიო. ავადმყოფი ხალხია, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა.

# აშშ-მ მადუროს გარემოცვის მიმართ სანქციები შემოიღო



ვენესუელაში გრძელდება დაპირისპირება პრეზიდენტ მადუროსა და დემოკრატიის მომხრეებს შორის.

მადურო ცდილობს, ხელისუფლება ძალისმიერი გზით შეინარჩუნოს.

ამას ვაშინგტონის მხრივ საპასუხო მოქმედებები მოჰყვა.

აშშ-მ მადუროს გარემოცვის 50 წევრის მიმართ სანქციები შემოიღო. მათ დემოკრატიის შეზღუდვაში ადანაშაულებენ.

ამასობაში დასრულდა ვენესუელის ოპოზიციის ლიდერ ხუან გუაიდოს ვიზიტი ეკვადორში. ის ამ ქვეყნის პრეზიდენტმა მორენომ მიიღო.

გუაიდოს მსოფლიოს 26 სახელმწიფო ვენესუელის დროებით პრეზიდენტად აღიარებს. მან ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ უკვე 5 მარტს ვენესუელაში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყება.

– მე ქვეყანაში დაბრუნებასა და ამ აქციების ხელმძღვანელობას ვაპირებ, – ამბობს გუაიდო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### გადაშენებულად აღიარებული ცხოველი ცოცხალი აღმოჩნდა

ტაივანური ლეოპარდი ბოლოს ველურ ბუნებაში კუნძულ ტაივანზე 1983 წელს შენიშნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საერთაშორისო სააგენტო ავრცელებს.



სოფლის მცველმა რეინჯერებმა განაცხადეს, რომ მათ ორჯერ შენიშნეს ცხოველი კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში პატრულირების დროს. ბოლოს ამ სახეობის ლეოპარდი 36 წლის წინ ნახეს, თუმცა ეს სახეობა ოფიციალურად გადაშენებულად მხოლოდ 2013 წელს გამოაცხადეს.

ტაიდუნის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორმა ლიუ ჩიუნგ-სიმ ადგილობრივ მედიას აცნობა, რომ ამ სახეობის ცხოველის არსებობაში ეჭვი არ ეპარება. მისი აზრით, ლეოპარდები ათწლეულების განმავლობაში არ ჩნდებოდნენ ადამიანების წინაშე, ვინაიდან სიფრთხილეს იჩენდნენ.

რეინჯერები ლეოპარდის ნახვის იმედად ახლომდებარე ტერიტორიებზე 2018 წლის ზაფხულიდან მორიგეობენ.

### ქალმა ყოფილი შეყვარებული იმისთვის გაქურდა, რომ ამჟამინდელზე ექორწინა



ჩინელმა თავისი ყოფილი შეყვარებული იმისთვის გაქურდა, რომ თავის ახლანდელ შეყვარებულთან ქორწილის ფული გადაეხადა.

პროვინცია ჩჟეცზიანის მკვიდრი, გვარად ჩჟოუ, თავის ყოფილ შეყვარებულ მამაკაცს ესტუმრა და მოატყუა, რომ ისევ მასთან ყოფნა სურდა. ჯერ ისევ მასზე შეყვარებულ 43 წლის თაყვანისმცემელს ძალიან გაუხარდა ეს ყოველივე და მასთან ერთად მაღაზიებში წავიდა საყიდლებზე. თან გაიყოლა ათი ათასი იუანი ნაღდი ფული. სავაჭრო ცენტრის შემდეგ ისინი ესტუმრნენ პარკს, სადაც 31 წლის ჩჟოუმ მამაკაცს შესთავაზა, ტერიტორიაზე გაესეირნათ, მყუდრო ადგილი მოეძებნათ „და უმშვენიერესი რაღაცით დაკავებულიყვნენ“.

შეყვარებული მამაკაცი დათანხმდა. ქალმა მას სთხოვა, გაეხადა, შემდეგ კი ნება მიეცა, ხეზე მიება. როდესაც მან მისი თხოვნები შეასრულა, ჩჟოუმ ხელი მოხვია მის ტანსაცმელს, მობილურ ტელეფონს, საფულეს და გაიქცა. მამაკაცმა თავის გათავისუფლება მხოლოდ ორი საათის შემდეგ მოახერხა. მან სახლში შეიარა, ჩაიცვა და განცხადების დასაწერად პოლიციის განყოფილებას მიაკითხა.

გარკვეული დროის შემდეგ პოლიციელებმა ჩჟოუ დააპატიმრეს, თუმცა იმ დროისთვის მან მთელი ფულის დახარჯვა მოასწრო. დაკითხვაზე მან აღიარა, რომ მან და მისმა ამჟამინდელმა მეგობარმა მამაკაცმა სამსახური დაკარგეს და მათ ბინის ქირის გადასახდელად 100 იუანიც კი არ ჰქონდათ. სახლის პატრონი მათ გასახლებით ემუქრებოდა. მაშინ მეგობარი მამაკაცი ჩჟოუს შეჰპირდა, რომ ის მას ცოლად მოიყვანდა, თუ ქალი ფულს იშოვიდა. მას ძალიან გაუხარდა და გადაწყვიტა, ფული „ქორწილისთვის“ მოეპარა.

ქალის წინააღმდეგ საქმე – ქურდობის, ხოლო მისი მეგობარი მამაკაცის მიმართ დანაშაულისთვის ხელშეწყობის ბრალდებით აღიძრა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**სხვადასხვა**

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

● ჯადოს, თვალის, წყევლის, ფინანსური ბლოკების, ჩაკეტილი ბედის დადგენა-მოხსნა, უძლიერესი თილისმები, მათ შორის „ოქროს დაცვა“, ასევე სახლისა და ოფისების ენერგეტიკული გაწმენდა. ტელ: 568-76-26-40.

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმის პრობლემების მოშორება მცენარეული, უვნებელი პროდუქციით (თუნდაც საკვებში შერევით ფარულად), ფსიქოლოგიური, ლოცვითი და მცენარეული (ნაკურთხი) თერაპიით სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მართვა-მკურნალობა (კუჭ-ნაწლავის, ნერვული და სხვა დაავადებები). ტელ: 599-45-66-88. ფსიქოლოგი, თერაპევტი ნინო ექიმი.

● მონასტრის ბერის მიერ მოწოდებული რეცეპტებით მცენარეული, არომატული და საკმევლის ზეთზე დამზადებული მალამოებით კანის პრობლემების მკურნალობა, ფსორიაზი, აკნე, ტროპიკული წყლული, ნეიროდერმიტი და სხვა, აგრეთვე კოსმეტიკური სამკურნალო სახის კანის მალამოები (ნაოჭების, მკვებავი და სხვა). ტელ: 599-45-88-66. ნინო ექიმი.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ბორჯღალოსნების მორიგი გამარჯვება

**ბელგია-საქართველო 6:46**

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა 2019 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე მატჩში ბელგიას ბრიუსელში 8 უპასუხო ლელო გაუტანა და მეტოქე ბონუსით, 46:6 დაამარცხა.

ეს იყო ამ გუნდების მეხუთე დაპირისპირება და საქართველომ მეხუთე გამარჯვება მოიპოვა, წლევანდელ რაგბი ევროპის ჩემპიონატზე კი ბორჯღალოსნებმა ზედიზედ მესამე თამაში მოიგეს და 13 ქულით პირველ ადგილზე არიან, სულ კი გამარჯვებების სერია ხუთამდე გაზარდეს.

თამაშმა მილთონ ჰეიგის უწყვეტი შეტევებით ჩაიარა. საქართველო ყველა სიტუაციაში ხელდახელ უტევდა და დასახულ ამოცანას თავს კარგად ართმევდა.



მატჩში ანგარიში ფრანგული რასინგის ახალგაზრდა ბურჯმა გურამ გოგიჩაშვილმა გახსნა, რომელიც ეროვნული ნაკრების მაისურით მეოთხე თამაშს ატარებდა და პირველი ლელო გაიტანა. მალევე მას საქართველოს ნაკრების კიდევ ერთა იმედმა, ორიაკის მესამეხაზელმა გიორგი ცუცქირიძემ მიბაძა, ესტაფეტა უელსური ოსპრეიზის ვეტერანმა გიორგი ნემსაძემ გადაიბარა, პირველი ტაიმის ბოლო ლელო კი, ქუთაისის აიას გარემარბმა მირიან მოდებაძემ მიითვალა, რომელიც ფრთაზე ძალიან აქტიურად მოქმედებდა. სოსო მათიაშვილმა ოთხიდან მხოლოდ 1 გარდასახვა გამოიყენა, ბელგიელებმა კი მხოლოდ ლუი დე მოფარცის ჯარიმით გვიპასუხეს და შესვენებაზე 19-ქულიანი უპირატესობით გავედით – 3:22.

მეორე ტაიმი პირველის იდენტური გამოდგა. ქართველები მუდმივად უტევდნენ და სიმბოლურიც იყო, რომ მოწინააღმდეგე კვლავაც 4-ჯერ დაალელოვეს. საინტერესოა, რომ მე-2 ნახევარში პირველებმა ბელგიელებმა იხეირეს (დე მოფარცმა კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანა), ჩვენებურთა შედეგიანმა იერიშებმა კი დაიგვიანა, თუმცა, დასკვნით 20 წუთში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

დუბლის შესრულება მოახერხა ცუცქირიძემ, თავი ზურაბ ძნელაძემაც გამოიჩინა, ბელგიელთა მორიგი შერკინების მერე, ბურთი ლელოში შეცვლაზე შესულმა გელა აფრასიძემ გადადო, ბოლოს კი გიორგი თხილაიშვილმაც გაინავარდა და საბოლოოდ 46:6 ვიმარჯვეთ. სათქმელია ისიც, რომ მე-2 ნახევარში ბელგიელთა ხაზის სუფთად გაჭრა მეტჯერ მოვახერხეთ და ლელოებიც უფრო ლამაზი გამოვიდა.

**მატჩის შედეგით მილთონ ჰეიგი კმაყოფილი დარჩა:**

– მთლიანობაში, კმაყოფილი ვარ. იყო ეპიზოდები, როდესაც ძალიან კარგად ვთამაშობდით, თუმცა რაქში რამდენჯერმე ბურთი დავკარგეთ და სამჯერ აუტში გადაგვიყვანეს. როდესაც შენზე ძლიერ მეტოქეს ეთამაშები და ბურთი მოგეცემა, ის აუცილებლად უნდა შეინარჩუნო. კმაყოფილი ვარ, რომ პირველ ტაიმში 22 და მეორეში 24 ქულა გავაკეთეთ, თუმცა ზოგადად, დისციპლინით უკმაყოფილო ვარ. ბელგიელები ეპიზოდებში დაცვაში ძალიან კარგად თამაშობდნენ და ხაზს სწრაფად გვიწევდნენ, თუმცა 46:6, კომფორტული სხვაობაა. მიუხედავად იმისა, რომ მინდორი სპეციფიკურია, რამდენიმე კარგი ლელო გავიტანეთ. გიორგი ცუცქირიძე ძალიან კარგი მოთამაშეა და კარგი მატჩი ჰქონდა, თუმცა ის გუნდის ნაწილია და ჩვენმა ტაქტიკამაც განაპირობა, რომ ის ასეთი აქტიური იყო.

რაგბი ევროპის ჩემპიონატის 3 ტურის თავზე საქართველოს ეროვნულმა გუნდმა 13 ქულა მოაგროვა და სატურნირო ცხრილს კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს. 10 ქულა აქვს აქტივში რუსეთს, რომელიც ჰაიდელბერგში გერმანიას ესტუმრა და 26:18 იმარჯვა.

ბორჯღალოსნებს მიმდინარე ტურნირზე 2 მატჩი დარჩათ ჩასატარებელი. 10 მარტს, ქართველები ქუთაისში გერმანიას უმასპინძლებენ, 17-ში კი, კრასნოდარში რუსეთთან მორიგი შერკინება ელით და თუკი ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ წარიმართა, რაგბი ევროპის ჩემპიონატის (ყოფილი ერთა თასი) ოფიციალური ჩემპიონები მეთერთმეტედ გახდებიან.

# ჩემპიონმა და თასის მფლობელმა სეზონი მძიმე გამარჯვებებით დაიწყეს

**საბურთალო-დინამო (ბთ) 1:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 როლოვიჩი (80)

**საბურთალო:** მიგინეიშვილი, მარგველაშვილი, ჩაბრაძე, ცნობილაძე, თევზაძე (მალი 64), კაკუბავა, შინდაგორიძე (გი 73), გვარაძე, დიასამიძე, ალთუნაშვილი, გოშთელიანი (როლოვიჩი 57)

**დინამო:** ალავიძე, გ.გადრანი, მელიავა, ფაცაცია, ჩალაძე, ტეიდი (ილურიძე 61), თევდორაძე (ცაცკრიალაშვილი 74), მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, რამოსი (რ.ჭანტურია 85), საბანაძე

ეროვნული ლიგის 2019 წლის სეზონი, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე, ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის, საბურთალოს და მეორე ლიგის გამარჯვებულის, ბათუმის დინამო მატჩით გაიხსნა.



შეხვედრა ორმხრივი შეტევებით დაიწყო და მალევე, მატჩის მიმდინარეობა ოდნავ ბათუმელთა უპირატესობაში გადაიზარდა. რამდენიმე ეპიზოდში, კარგად ითამაშა საბურთალოს ახალწვეულმა მეკარე ომარ მიგინეიშვილმა, ხოლო თბილისელთა კარის მიმართულებით, ალბათ ყველაზე სახიფათო მომენტი, გაბრიელ რამოსის თავური დარტყმა კარს მცირე მანძილით ასცდა. ბრაზილიელის ეპიზოდის შემდეგ, მალევე პირველი ტაიმი დასრულდა კიდეც.

შეხვედრის მეორე ნახევარი საბურთალოს უპირატესობით დაიწყო, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ფლანგები. ყველაზე სახიფათო მომენტი 59-ე წუთზე ლაშა შინდაგორიძემ შექმნა, როდესაც თბილისელთა შემტევი საჯარიმოში ლაშა ჩალაძეს ეფექტურად გასცდა, თუმცა დიასამიძის მიმართულებით პასი გიორგი გადრანმა ჩაჭრა და საკუთარი გუნდი გადაარჩინა.

მეორე ტაიმში თავისი მომენტი, ისევ გაბრიელ რამოსს ჰქონდა, როდესაც ბრაზილიელი საბურთალოელთა საჯარიმოში შეიჭრა და ახლო მანძილიდან ვერ გაიტანა. რამოსის ეპიზოდიდან რამდენიმე წუთში გეგა დიასამიძეს აქტიურობას ეროვნულ ლიგაში პირველი გოლი მოჰყვა, რომელიც მონტენეგროელმა ლეგიონერმა, ოგნიენ როლოვიჩმა გაიტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 1:0.

**ტორპედო-სიონი 3:2**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

1:0 წიქარიძე (13), 1:1 ისიანი (22), 2:1 ქავთარაძე (34), 2:2 უგულავა (63), 3:2 კაპანაძე (77)

**ტორპედო:** ქვილითაია, ჭიჭინაძე (ლუკა 73), აზაცკი, სტიეპოვიჩი, გეგეჭკორი, კობახიძე, ცინცაძე, ნ.ქავთარაძე, წიქარიძე, ქიმაძე (დოლიძე 46), ზივზივაძე (თ.კაპანაძე 64)

**სიონი:** ზარქუა, თომაშვილი, ტვილდიანი, აფაქიძე, სუხიაშვილი, თარხნიშვილი, ხმალაძე (მესხი 86), დ.კირკიტაძე, რაჟამაშვილი (სიხარულია 59), უგულავა, ისიანი (მანაგაძე 89)

ტორპედო ამ მატჩის უდავო ფავორიტად მოიაზრებოდა და იმარჯვა კიდეც, მაგრამ 3 ქულის მოსაპოვებლად გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა.

ორჯერ გაათანაბრა სიონმა ანგარიში, ბოლომდეც იბრძოლა, მაგრამ მეტისთვის არც ენერგია ეყო და არც დრო.

ანგარიში თენგიზ წიქარიძემ მალევე გახსნა და მაყურებელი დიდი ანგარიშით გამარჯვების მოლოდინში კიდევ უფრო ახმაურდა. თუმცა, 22-ე წუთზე ვილი ისიანმა დაცვის უყურადღებობით ისარგებლა და სტატუსკვო აღადგინა.

შესვენებამდე ტორპედო მაინც გავიდა წინ: რიონისპირულ გუნდში სადებიუტო მატჩშივე თავი ნოდარ ქავთარაძემ გამოიჩინა.

მეორე ტაიმში სიონმა კიდევ ერთხელ გაათანაბრა – თავი ჯაბა უგულავამ გამოიჩინა, მაგრამ ქვემოქართლელებს ქულის აღება არ ეწერათ. ტორპედოს მხსნელად შეცვლაზე შესული თორნიკე კაპანაძე მოევლინა, რომელმაც ჩვეულ სტილში ლამაზი გოლი გაიტანა.

**ლოკომოტივი-რუსთავი 4:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 ციცქიშვილი (18), 1:1 ჯიქია (34), 2:1 არდაზიშვილი (45), 3:1 სიხარულიძე (84), 4:1 ინჯგია (88)

**ლოკომოტივი:** ბულისკერია, უბილავა, გურეშიძე, ნ.ჭანტურია, შონია, გვალია (სამურკასოვი 59), ძებნიაური, თ.კირკიტაძე (კობახიძე 89), არდაზიშვილი, ჯიქია (ინჯგია 77), სიხარულიძე

**რუსთავი:** მამარდაშვილი, ც.კაპანაძე (იმნაძე 52), ლ.გადრანი, ფონიავა, ჯაფიაშვილი, ხუბუტია, სილაგაძე, ჩოგაძე (კიტეიშვილი 84), ქოჩლაძე (ზვიადაძე 79), ზ.ქავთარაძე, ციცქიშვილი

განახლებულ სეზონში ლოკომოტივმა რუსთავს უმასპინძლა და თავიდან საფრთხის წინაშე იყო. თუმცა, კარგად ორგანიზებული თამაშით, მატჩი მაინც სათავისოდ შემოატრიალა.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: მე-18 წუთზე თავი ზაზა ციცქიშვილმა გამოიჩინა. მიუხედავად გაშვებული გოლისა ლოკომოტივი უპირატესობას ფლობდა 34-ე წუთზე დავით უბილავას პასით გოლი დავით ჯიქიამ გაიტანა. ლოკომ შეტევები განაგრძო და პირველი ტაიმის მიწურულს რატი არდაზიშვილმა მასპინძლები დააწინაურა – 2:1.

მეორე ნახევარში ლოკომოტივი სრულ უპირატესობას ფლობდა, რაც კიდევ 2 გატანილ გოლში გარდაისახა. 84-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძემ საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდება გოლით აღნიშნა და რკინიგზელები ორბურთიანი უპირატესობით წინ გაიყვანა. წერტილი მატჩში შეცვლაზე შემოსულმა რევაზ ინჯგიამ დასვა – 88-ე წუთზე ახალგაზრდა შემტევმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ლოკომოტივმა აქტივში 3 ქულა ჩაიწერა.

# დე ხეა მანჩესტერს ულტიმატუმს უყენებს



მანჩესტერ იუნაიტედს დავიდ დე ხეასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს. ესპანელი მზადაა, გუნდში დარჩეს, ოღონდ ერთი პირობით. დე ხეა მანკუნიელებთან ახალ ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში მოაწერს ხელს, თუ იგი გუნდში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება.

გამოდის, რომ ესპანელი ვარსკვლავი კვირაში 500 ათას ფუნტს ითხოვს. აქვე გეტყვით, რომ ამ მომენტში ყველაზე დიდი ჯამაგირი ალექსის სანჩესს აქვს, რომელიც გუნდში წინა წლის იანვარში გადავიდა და იმედებს აშკარად ვერ ამართლებს.

დე ხეა მანჩესტერს 2011 წლის ზაფხულში მადრიდის ატლეტიკოდან შეუერთდა. მალევე იგი გუნდის ლიდერად იქცა და დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კიპერია. მის შეძენას რამდენიმე წლის განმავლობაში მადრიდის რეალი ცდილობდა, თუმცა უშედეგოდ. ახლა კი პსჟ-ს აქვს თვალი დადგმული.

27 წლის ფეხბურთელს გუნდთან კონტრაქტი 2020 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

# შედეგები

## 2 მარტი

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ტოტენჰემი-არსენალი ...... 1:1
ბარნლი-კრ.პალასი ...... 1:3
ბორნმუთი-სიტი ...... 0:1
ბრაიტონი-ჰადერსფილდი ...... 1:0
ვულვზი-კარდიფი ...... 2:0
მანჩესტერი-საუთჰემპტონი ...... 3:2
ვესტ ჰემი-ნიუკასლი ...... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 29 | 23 | 2 | 4 | 76-20 | 71 |
| 2.ლივერპული | 28 | 21 | 6 | 1 | 64-15 | 69 |
| 3.ტოტენჰემი | 29 | 20 | 1 | 8 | 56-30 | 61 |
| 4.მანჩესტერი | 29 | 17 | 7 | 5 | 58-38 | 58 |
| 5.არსენალი | 29 | 17 | 6 | 6 | 61-39 | 57 |
| 6.ჩელსი | 27 | 16 | 5 | 6 | 47-29 | 53 |
| 7.ვულვზი | 29 | 12 | 7 | 10 | 37-35 | 43 |
| 8.უოტფორდი | 28 | 11 | 7 | 10 | 39-40 | 40 |
| 9.ვესტ ჰემი | 29 | 11 | 6 | 12 | 37-41 | 39 |
| 10.ევერტონი | 28 | 10 | 6 | 12 | 39-39 | 36 |
| 11.ლესტერი | 28 | 10 | 5 | 13 | 34-39 | 35 |
| 12.ბორნმუთი | 29 | 10 | 4 | 15 | 39-54 | 34 |
| 13.კრ.პალასი | 29 | 9 | 6 | 14 | 35-39 | 33 |
| 14.ნიუკასლი | 29 | 8 | 7 | 14 | 26-36 | 31 |
| 15.ბრაიტონი | 28 | 8 | 6 | 14 | 30-41 | 30 |
| 16.ბარნლი | 29 | 8 | 6 | 15 | 32-53 | 30 |
| 17.საუთჰემპტონი | 29 | 6 | 9 | 14 | 32-49 | 27 |
| 18.კარდიფი | 29 | 7 | 4 | 18 | 25-57 | 25 |
| 19.ფულემი | 28 | 4 | 5 | 19 | 26-63 | 17 |
| 20.ჰადერსფილდი | 29 | 3 | 5 | 21 | 15-51 | 14 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ასტონ ვილა-დერბი ...... 4:0
ბრენტფორდი-ქპრ ...... 3:0
იფსვიჩი-რედინგი ...... 1:2
მილუოლი-ნორვიჩი ...... 1:3
პრესტონი-ბრისტოლი ...... 1:1
როტერჰემი-ბლექბერნი ...... 3:2
სტოკი-ნოტინგემი ...... 2:0
სუონსი-ბოლტონი ...... 2:0
უიგანი-მიდლსბრო ...... 0:0
ჰალი-ბირმინგემი ...... 2:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-ვალიადოლიდი ...... 3:1
ვილიარეალი-ალავესი ...... 1:2
უესკა-სევილია ...... 2:1
რეალი-ბარსელონა ...... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 18 | 6 | 2 | 66-25 | 60 |
| 2.ატლეტიკო | 25 | 14 | 8 | 3 | 36-17 | 50 |
| 3.რეალი | 26 | 15 | 3 | 8 | 43-31 | 48 |
| 4.ალავესი | 26 | 11 | 7 | 8 | 27-29 | 40 |
| 5.ხეტაფე | 25 | 10 | 9 | 6 | 32-22 | 39 |
| 6.სევილია | 26 | 10 | 7 | 9 | 41-34 | 37 |
| 7.ბეტისი | 25 | 10 | 6 | 9 | 29-30 | 36 |
| 8.სოსიედადი | 25 | 9 | 8 | 8 | 30-25 | 35 |
| 9.ვალენსია | 25 | 6 | 15 | 4 | 25-21 | 33 |
| 10.ბილბაო | 25 | 7 | 12 | 6 | 25-28 | 33 |
| 11.ესპანიოლი | 26 | 9 | 6 | 11 | 31-39 | 33 |
| 12.ეიბარი | 25 | 7 | 10 | 8 | 33-35 | 31 |
| 13.ხირონა | 26 | 7 | 10 | 9 | 27-34 | 31 |
| 14.ლევანტე | 25 | 8 | 6 | 11 | 37-45 | 30 |
| 15.ლეგანესი | 25 | 7 | 9 | 9 | 26-31 | 30 |
| 16.ვალიადოლიდი | 26 | 6 | 8 | 12 | 20-34 | 26 |
| 17.სელტა | 25 | 6 | 7 | 12 | 36-43 | 25 |
| 18.ვილიარეალი | 26 | 4 | 11 | 11 | 27-35 | 23 |
| 19.რაიო | 26 | 6 | 5 | 15 | 28-45 | 23 |
| 20.უესკა | 26 | 5 | 7 | 14 | 26-42 | 22 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კადისი-ალბასეტე ...... 1:0
კორდობა-მალაგა ...... 1:1
ოსასუნა-ხიმნასტიკი ...... 1:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აინტრახტი-ჰოფენჰაიმი ...... 3:2
ლევერკუზენი-ფრაიბურგი ...... 2:0
ჰერტა-მაინცი ...... 2:1
ნიურნბერგი-ლაიპციგი ...... 0:1
შალკე-ფორტუნა ...... 0:4
გლადბახი-ბაიერნი ...... 1:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 24 | 16 | 6 | 2 | 58-27 | 54 |
| 2.ბაიერნი | 24 | 17 | 3 | 4 | 56-27 | 54 |
| 3.ლაიპციგი | 24 | 13 | 6 | 5 | 43-20 | 45 |
| 4.გლადბახი | 24 | 13 | 4 | 7 | 43-30 | 43 |
| 5.აინტრახტი | 24 | 11 | 7 | 6 | 47-30 | 40 |
| 6.ლევერკუზენი | 24 | 12 | 3 | 9 | 43-35 | 39 |
| 7.ვოლფსბურგი | 23 | 11 | 5 | 7 | 38-30 | 38 |
| 8.ჰერტა | 24 | 9 | 8 | 7 | 37-34 | 35 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 10 | 6 | 47-36 | 34 |
| 10.ვერდერი | 23 | 8 | 8 | 7 | 38-34 | 32 |
| 11.ფორტუნა | 24 | 9 | 4 | 11 | 31-42 | 31 |
| 12.მაინცი | 24 | 8 | 6 | 10 | 27-38 | 30 |
| 13.ფრაიბურგი | 24 | 6 | 9 | 9 | 34-40 | 27 |
| 14.შალკე | 24 | 6 | 5 | 13 | 25-39 | 23 |
| 15.აუგსბურგი | 24 | 5 | 6 | 13 | 34-46 | 21 |
| 16.შტუტგარტი | 23 | 4 | 4 | 15 | 19-51 | 16 |
| 17.ჰანოვერი | 23 | 3 | 5 | 15 | 20-50 | 14 |
| 18.ნიურნბერგი | 24 | 2 | 7 | 15 | 18-49 | 13 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანდჰაუზენი-აუე ...... 0:3
პადერბორნი-ზ.პაული ...... 0:1
ჰაიდენჰაიმი-რეგენსბურგი ...... 1:2

**იტალია. სერია ა**

ემპოლი-პარმა ...... 3:3
მილანი-სასუოლო ...... 1:0
ლაციო-რომა ...... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 22 | 3 | 0 | 53-15 | 69 |
| 2.ნაპოლი | 25 | 17 | 5 | 3 | 46-18 | 56 |
| 3.მილანი | 26 | 13 | 9 | 4 | 39-22 | 48 |
| 4.ინტერი | 26 | 14 | 5 | 7 | 38-22 | 47 |
| 5.რომა | 26 | 12 | 8 | 6 | 49-36 | 44 |
| 6.ლაციო | 25 | 12 | 5 | 8 | 36-27 | 41 |
| 7.ატალანტა | 25 | 11 | 5 | 9 | 51-36 | 38 |
| 8.ტორინო | 25 | 9 | 11 | 5 | 30-22 | 38 |
| 9.ფიორენტინა | 25 | 8 | 12 | 5 | 40-29 | 36 |
| 10.სამპდორია | 25 | 10 | 6 | 9 | 41-32 | 36 |
| 11.სასუოლო | 26 | 7 | 10 | 9 | 35-41 | 31 |
| 12.პარმა | 26 | 8 | 6 | 12 | 28-40 | 30 |
| 13.ჯენოა | 25 | 7 | 8 | 10 | 32-41 | 29 |
| 14.კალიარი | 26 | 6 | 9 | 11 | 23-37 | 27 |
| 15.სპალი | 25 | 5 | 8 | 12 | 22-37 | 23 |
| 16.უდინეზე | 24 | 5 | 7 | 12 | 19-31 | 22 |
| 17.ემპოლი | 26 | 5 | 7 | 14 | 33-51 | 22 |
| 18.ბოლონია | 25 | 3 | 9 | 13 | 19-38 | 18 |
| 19.ფროზინონე | 25 | 3 | 7 | 15 | 19-49 | 16 |
| 20.კიევო | 25 | 1 | 10 | 14 | 19-48 | 10 |

**შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ბრეშა-ჩიტადელა ...... 0:1
კარპი-ასკოლი ...... 1:1
პადოვა-კროტონე ...... 0:0
პალერმო-ლეჩე ...... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

კაენი-პსჟ ...... 1:2
ანჟე-მონაკო ...... 2:2
რეიმსი-ამიენი ...... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 26 | 23 | 2 | 1 | 79-15 | 71 |
| 2.ლილი | 26 | 15 | 6 | 5 | 43-23 | 51 |
| 3.ლიონი | 26 | 13 | 7 | 6 | 40-30 | 46 |
| 4.სტ.ეტიენი | 26 | 12 | 7 | 7 | 36-31 | 43 |
| 5.რეიმსი | 27 | 10 | 12 | 5 | 29-26 | 42 |
| 6.მარსელი | 26 | 12 | 5 | 9 | 41-35 | 41 |
| 7.მონპელიე | 26 | 9 | 11 | 6 | 34-28 | 38 |
| 8.სტრასბური | 26 | 9 | 10 | 7 | 41-30 | 37 |
| 9.რენი | 26 | 10 | 7 | 9 | 35-34 | 37 |
| 10.ნიცა | 26 | 10 | 7 | 9 | 19-27 | 37 |
| 11.ნიმი | 26 | 10 | 6 | 10 | 37-38 | 36 |
| 12.ანჟე | 27 | 8 | 10 | 9 | 31-31 | 34 |
| 13.ბორდო | 26 | 8 | 8 | 10 | 25-27 | 32 |
| 14.ნანტი | 26 | 8 | 6 | 12 | 31-34 | 30 |
| 15.ტულუზა | 26 | 6 | 10 | 10 | 25-37 | 28 |
| 16.მონაკო | 27 | 6 | 8 | 13 | 28-43 | 26 |
| 17.ამიენი | 27 | 7 | 4 | 16 | 22-42 | 25 |
| 18.კაენი | 27 | 3 | 11 | 13 | 22-36 | 20 |
| 19.დიჟონი | 25 | 5 | 5 | 15 | 20-39 | 20 |
| 20.გენგამი | 26 | 4 | 6 | 16 | 18-50 | 18 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ლორიანი-ორლეანი ...... 1:3

**ჰოლანდია. ეიედივიზიონი**

ერაკლესი-უტრეხტი ...... 1:5
ექსელსიორი-პსვ ...... 0:3
ვიტესი-ბრედა ...... 4:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნასიონალი-ტონდელა ...... 3:2
მორეირენშე-სეტუბალი ...... 1:1
პორტუ-ბენფიკა ...... 1:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ურალი-ზენიტი ...... 0:1
არსენალი-ცსკა ...... 2:0
ლოკომოტივი-კრილია ...... 2:2

**კრილიას პირველი გოლი ჯანო ანანიძემ გაიტანა**

რუბინი-ახმატი ...... 1:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-ლუცერნი ...... 1:3
იანგ ბოიზი-სიონი ...... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

კილმანროკი-მოზერველი ...... 0:0
სტ.მირენი-ლივინგსტონი ...... 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ალტახი-ადმირა ...... 0:1
ზალბურგი-ვოლფსბერგერი ...... 3:0
სტ.პოლენი-რაპიდი ...... 0:4

**ბელგია. ა დივიზიონი**

შარლერუა-გენკი ...... 1:1
კორტრაიკი-სერკლი ...... 2:1
ოსტენდე-ბევერენი ...... 1:1
ბრიუგე-სტ.ტრუიდენი ...... 1:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

არისი-აეკი ...... 2:0
იანინა-ქსანთი ...... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბურსა-სივასი ...... 3:2
ქაისერი-ბეშიქთაში ...... 2:2
ფენერბახჩე-რიზე ...... 3:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

სოსნოვეცი-კორონა ...... 4:1
იაგელონია-გურნიკი ...... 2:2
პლოცკი-კრაკოვია ...... 3:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

დესნა-დინამო ...... 1:2
ჩერნომორეცი-შახტარი ...... 0:1

**დანია. სუპერლიგა**

ესბიერგი-ჰორსენსი ...... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# ფეხბურთის წესებში ცვლილებები იგეგმება



2019 წლის ივნისიდან ფეხბურთის წესებში მთელი რიგი ცვლილებები იგეგმება. ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოს 133-ე კონგრესზე იმსჯელეს და რამდენიმე წესის შემოღებაზე შეთანხმდნენ.

დოკუმენტის მიხედვით, რომელიც ასოციაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ხელით თამაშის შესახებ დაზუსტება შევიდა. მომავალი სეზონიდან მსაჯები ვალდებულნი იქნებიან, ხელით გატანილი ნებისმიერი გოლი გააუქმონ, იმის მიუხედავად, ხელით თამაში შემთხვევითი იყო თუ შეგნებული.

ასევე ცვლილებები შეეხება შემდეგ პუნქტებს:

1. ცვლილების დროს, ფეხბურთელი ვალდებულია მოედნიდან გავიდეს იმ ადგილიდანვე, მინდვრის რა მონაკვეთშიც ის იმყოფება და არ გადაკვეთოს მთელი მოედანი.

2. ცვლილებები ასევე ეხება ჯარიმის დროს დაყენებულ ცოცხალ კედელსაც. იმ გუნდის მოთამაშე, რომელიც ჯარიმას ურტყამს კედელში ვერ ჩადგება და ვალდებული იქნება მინიმუმ ერთი მეტრის დისტანციაზე იყოს.

3.პენალტის დროს, მეკარეს ექნება უფლება სურვილის შემთხვევაში კარის ხაზზე ცალი ფეხითაც იდგეს.

4. რიგ ეპიზოდებში, იმ შემთხვევაში, თუ თამაშის მიმდინარეობისას ბურთი მსაჯს მოხვდება, დაინიშნება თავისუფალი დარტყმა.

# ფედერერი ცენტურიონია

როჯერ ფედერერი გახდა მეორე ჩოგბურთელი სამეფო სპორტის ისტორიაში, რომელმაც ატპ-ის 100 ტურნირის მოგება შეძლო.



– არ ვიცი, დაბადებული იყო თუ არა სტეფანოსი, როდესაც მე კარიერაში პირველი ტიტული მოვიგე, – ეს სიტყვები დიადმა როჯერ ფედერერმა დუბაის ტურნირის ფინალის შემდეგ წარმოთქვა, რომელშიც მან ციციპასი 2 სეტში ერთნაირი ანგარიშით – 6:4, 6:4 დაამარცხა.

დუბაიში შვეიცარიელმა მაესტრომ მერვეჯერ იჩემპიონა, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ფაქტი ის გახლავთ, რომ მან კარიერაში მე-100 ტიტული მოიხვეჭა. საიუბილეო ტიტულის მოგებას კი ფედერერმა 70 წუთი მოანდომა და ციციპასთან ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში განცდილი მარცხისთვისაც რევანში აიღო.

როგორც გითხარით, ფედერერი გახდა მეორე ჩოგბურთელი სამეფო სპორტის ისტორიაში, რომელმაც ატპ-ის 100 ტურნირის მოგება შეძლო. პირველზე ჯიმი კონორსია (109) და ვფიქრობთ, ფედერერი მის დაწევას შეძლებს.

რაც შეეხება ციციპასს, მან დუბაიმდე მარსელში იჩემპიონა და, მიუხედავად ფედერერთან მარცხისა, თავი იმით შეუძლია დაიმშვიდოს, რომ ათეულის კარი შეაღო.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ყველაზე შხამიანმა ავსტრალიურმა ობობამ ყველაზე შხამიანი გველი დაამარცხა



ავსტრალიელმა ბუნების მოყვარულმა სურათი გადაუღო ავსტრალიელ ქვრივს, რომელმაც მასზე რამდენიმეჯერ დიდი ყავისფერი გველი დაამარცხა.

რობინ მაკლენანმა ობობა და მისი მსხვერპლი ავსტრალიის ვიქტორიის შტატის ქალაქ მირტლვუდის მახლობლად გადაიღო. მისი თქმით, შავმა ქვრივმა ქვეწარმავალი თავის ქსელში გახვია და მიწის თავზე ჩამოკიდა.

ავსტრალიური ქვრივები ყველაზე სახიფათო ობობებად ითვლებიან ავსტრალიაში. ისინი ზომით დიდები არ არიან, მაგრამ ძლიერი ნეიროტოქსიკური შხამი გააჩნიათ. მდედრები სიგრძეში ერთ სანტიმეტრს აღწევენ, ხოლო მამრები – ორ-სამჯერ ნაკლებს. მისი კბენა ძლიერ ტკივილს იწვევს და ის ადამიანისთვის სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

ყავისფერი ავსტრალიური გველი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე შხამიან გველად ითვლება. მათი შხამი ადამიანებში თავბრუსხვევას, დიარეას, უძლურებასა და კრუნჩხვას იწვევს. შესაძლოა, ადამიანს გაეთიშოს თირკმლები, დაემართოს დამბლა და გული გაუჩერდეს. ავსტრალიაში ადამიანების გველის ნაკბენისგან დაღუპვის 60 პროცენტი სწორედ ამ სახეობის გველებზე მოდის.

# ქურდებმა 120 ათასი ფუნტი მტვერსასრუტით მოიპარეს



ლონდონში მტვერსასრუტებით შეიარაღებულმა ქურდებმა ავტოსადგომის სპეციალური ავტომატებიდან ათეულათასობით ფუნტი სტერლინგის მონეტები მოიპარეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოროტმოქმედები ჯერ ხვრელებს აკეთებენ მოწყობილობებში, შემდეგ შიგნით მტვერსასრუტის მილი შეჰყავთ და მისი დახმარებით შიგნით არსებული ფული გამოაქვთ.

ქურდებმა ერთი წლის განმავლობაში ლონდონის დასავლეთ ნაწილში ბოროს რაიონში მხოლოდ 12 კვადრატული კილომეტრის ტერიტორიაზე ასეთი ხერხით 120 ათასი ფუნტი სტერლინგი მოიპარეს.

რაიონის ქალაქის საბჭო არ გამორიცხავს, რომ ქურდობასთან საბრძოლველად უარი თქვან მანქანის გაჩერებისთვის ნაღდი ფულის გადახდის პრაქტიკაზე და მთლიანად მობილური აპლიკაციის გამოყენებით გადახდის ფორმაზე გადავიდნენ. ეს, შესაძლოა, არ მოეწონოთ ავტომობილების მფლობელებს. სოციოლოგიური გამოკითხვის მონაცემებით, მძღოლების 70 პროცენტი თავს არიდებს მანქანის ისეთ სადგომებზე გაჩერებას, სადაც გადახდა მხოლოდ სმარტფონის დახმარებით არის შესაძლებელი.

# უზარმაზარმა ობობამ მეცნიერების თვალწინ ოპოსუმი დაიჭირა და შეჭამა



ობობა ტარანტული ვიდეოზე პირველად იმ დროს გადაიღეს, როდესაც ის ოპოსუმს ჭამს. ამ ინფორმაციას ნეიშენელ გეოგრაფიკი ავრცელებს.

მიჩიგანის უნივერსიტეტის ბიოლოგებმა ტარანტული პერუს ჯუნგლებში იმ დროს შენიშნეს, როდესაც მას ცხოველი უკვე დაჭერილი ჰყავდა. ოპოსუმი მას დაახლოებით 30 წამის განმავლობაში სუსტად ეწინააღმდეგებოდა, რის შემდეგაც სიცოცხლის ნიშანწყალი უკვე აღარ ეტყობოდა. თვითმხილველთა თქმით, ობობა თეფშისხელა იქნებოდა (დაახლოებით 30 სანტიმეტრი).

ოპოსუმზე თავდასხმის გარდა, მეცნიერებმა ათეულობით შემთხვევა დააფიქსირეს, როდესაც ხერხემლიანი ცხოველები უხერხემლოთა ნანადირევი ხდებოდნენ. კერძოდ, მათ მოახერხეს, ფოტოსურათები და ვიდეო გადაეღოთ უხერხემლოებისთვის, რომლებიც ჭამდნენ ხვლიკებს, გველებსა და ამფიბიებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ამერიკელი ქალი დროზე ადრე ბერდება



აშშ-ის მცხოვრები ქალბატონი უიშვიათესი დაავადების, პროგერიის (ჰატჩინსონ-გილფორდის სინდრომი) გამო დროზე ადრე დაბერებულებს შორის ყველაზე ასაკოვანი აღმოჩნდა.

ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსის მცხოვრებ ტიფანი ვედეკინდს პროგერია მხოლოდ ზრდასრულ ასაკში დაუდგინეს. როგორც წესი, ექიმები ასეთ დიაგნოზს ბავშვებს ერთი-ორი წლის ასაკში უსვამენ. ამასთან, პაციენტის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 12 წელია.

ექიმებმა ტიფანის შემთხვევა უნიკალურად ჩათვალეს, ვინაიდან მან 41 წლის ასაკს მიაღწია. ქალის წონა მხოლოდ 26 კილოგრამს შეადგენს, სიმაღლე – 135 სანტიმეტრს. მას აწუხებს კბილების, თმების ცვენა და პრობლემები აქვს გულზე. ამ ყოველივეს მიუხედავად, ქალი იოგათია დაკავებული და კლინინგურ კომპანიას ხელმძღვანელობს.

2012 წელს ამავე დაავადებისგან გარდაიცვალა მისი 39 წლის ძმა ჩადი. მისი მშობლები სწორედ მაშინ შეშფოთდნენ იმის გამო, რომ მათ ქალიშვილსაც იგივე ბედი ელოდა.

– ვიცოდი, რომ სხვებისგან განვსხვავდებოდი, მაგრამ ეს არ მაშფოთებდა. მე მომწონდა ჩემი ინდივიდუალურობა, მაგრამ, როდესაც ჩემი ძმა გარდაიცვალა, უცბად შევიგრძენი, რომ შესაძლოა ასევე დასრულებულიყო ჩემი ცხოვრებაც, – განაცხადა ტიფანიმ.

ძმის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის წევრებმა სამედიცინო გამოკვლევა ჩაიტარეს და შეიტყვეს, რომ ტიფანი და დედამისი ლინდა პროგერიით არიან დაავადებულნი. ექიმები გაკვირვებულები დარჩნენ, რომ ლინდას მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში დაავადების სიმპტომები არ გამოსჩენია.

ექიმების დასკვნით, ტიფანის დედაც შეიძლება აღიარებულ იქნეს, როგორც ჰატჩინსონ-გილფორდის სინდრომის ყველაზე ასაკოვანი მატარებელი. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ოფიციალურად ამ დაავადების მხოლოდ 156 შემთხვევაა დაფიქსირებული.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სკანვორდი



1. მრავალრიცხოვანი ხალხის გარკვეული სვლა; 2. შინაური ფრინველი; 3. ლანგარი; 4. ... დუმბაძე; 5. იგივეა, რაც კნუტი; 6. ესპანურად „ბატონს" ნიშნავს; 7. ნადირობა ან მოგზაურობა აფრიკაში; 8. ღამის პეპელა; 9. ჭადრაკის ფიგურა; 10. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 11. პოლიტიკური ბრძოლის ხერხები; 12. ძვირფასი ქვა; 13. ადამიანის ბიოველი; 14. ნატეხი შაქარი; 15. „სამი ..." (რემარკი); 16. გემის კორპუსის ნაწილი; 17. მდიდრული ცხოვრების მოყვარული ფრანგ თავადაზნაურებში; 18. სატურნის თანამგზავრი; 19. ... პაჩინო; 20. ვულკანიდან ამონთხეული გავარვარებული მასა; 21. ტროპიკების ცხოველი ხორთუმისებრი ცხვირ-ტუჩით; 22. სოლო სიმღერა ოპერაში; 23. საზოგადოებრივი წონა, ავტორიტეტი; 24. მამულიშვილი; 25. თბილი ქვეყნების ხე ან ბუჩქი; 26. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 27. ციფრი; 28. სოფელი გარდაბნის რაიონში; 29. მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი; 30. უეცარი შიში, თავზარი; 31. მეექვსე ნოტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფარაონი; 2. აპატრიდი; 3. წირქოლი; 5. სელადონი; 7. დიოგენე; 9. ტახომეტრი; 13. მორთული; 15. ლეჟავა; 16. ლოზანა; 18. ტროპი.

**თარაზულად:** 4. კავასაკი; 6. დეპრესია; 8. მაღალაშვილი; 10. ტუგრიკი; 11. ხალი; 12. ონიქსი; 14. ალუვი; 17. ჭერხო; 19. აჟური; 20. სამთავრო; 21. იგლუ; 22. მანჭკვალა; 23. სიმენსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. რთველი; 2. ბანკო; 3. სოკო; 5. ტეკილა; 6. გრემი; 7. აქსიომა; 11. მესტია; 14. შარმი; 15. ფილიპსი; 16. ბაღდათი; 19. იარდი; 20. გეთი.

**თარაზულად:** 1. რუბენსი; 4. ჰერტა; 8. კოქსი; 9. კაფე; 10. ესკიმო; 12. ხინკალი; 14. შატო; 15. ფავორიტი; 16. ბირჟა; 18. ტვიში; 21. რუპია; 22. თავთუხი; 23. დუბლინი.


## ქ-ნი ეთერ კიკვილაშვილი სასწაულებს ახდენს

მისი წამალი სასწაულია აქაც და საზღვარგარეთაც. შთამბეჭდავია მის მიმართ ხალხის მადლობები.

**დათო ჩხარკავა:** მქონდა მხრის ძვლის სიმსივნე. მისმა უებარმა წამალმა საერთოდ განმკურნა. ახლა ვარ ძალიან კარგად.

**იტალიიდან:** მქონდა პანკრეასზე სერიოზული პრობლემები. ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ შედეგს ვერ მივაღწიე. ბოლოს მივედი ქ-ნ ეთერთან და მოხდა სასწაული. დღესდღეობით ვარ ძალიან კარგად.

**ნიკო სულხანიშვილი, ექიმი:** ძალიან მაწუხებდა პროსტატა და თირკმელზე მქონდა კისტები. არ ვიცი, რა მოხდა, ღმერთმა ალბათ არ გამწირა. სულ გამიქრა კისტაც და პროსტატაც. მადლობა ქ-ნ ეთერს.

**ნიკოლოზ კიკნაძე, ფილოლოგი:** მაწუხებდა ოსტეოქონდროზი, რისგანაც განვიკურნე ეთერის წამლის შემდეგ.

**უკრაინიდან:** დიდ მადლობას ვუხდი ეთერს, მან შვილი მომირჩინა, რომელსაც ჰქონდა მკერდის სიმსივნე და საკვერცხეზე კისტა. ქ-ნო ეთერ, რა სიტყვებით მოგმართოთ, მე დიდი სასწაულის წინაშე ვარ. იცოცხლეთ ძალიან დიდხანს. მისმა უებარმა მალამომ განგრენიანი ფეხის თითები მოკვეთას გადაარჩინა, რომელიც ასევე იხმარება ბევრ დაავადებაზე. ეს ხომ სასწაულია!

**ვანო კერვალიშვილი, თბილისი:** მქონდა ლიმფური ჯირკვალი, ვსვი ქიმიური წამლები, მაგრამ შედეგი არ მქონდა. მივიღე ქ-ნი ეთერის წამალი, რომელმაც ოპერაციას გადამარჩინა.

**თიკა მესხი, გორი:** მქონდა ქრონიკული ბრონქიტი. მივიღე ეთერის წამალი და თავს კარგად ვგრძნობ. მადლობა მას. მქონდა ხორხზე პრობლემა. ეთერის წამალმა გადამარჩინა ოპერაციას. წამალი ბუნებრივია და არა აქვს უკუჩვენება.

**მისი ტელეფონებია: 599-96-44-63; 269-17-37.**


# ასტროპროგნოზი

## 4 მარტისთვის



**ვერძი** – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# გივი სიხარულიძეს „ხელოვნების ქურუმი“ მიანიჭეს



მწერალსა და მსახიობს გივი სიხარულიძეს 75 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში მისი საღამო გაიმართა.

საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა. მოცეკვავეებთან ერთად გივი სიხარულიძემაც იცეკვა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ინგა შამილიშვილმა ქართულ კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის იუბილარ გივი სიხარულიძეს სამინისტროს მადლობის სიგელი და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“ გადასცა.

# ბაკურ ბურდული ახალი ალბომით დაბრუნდა



10-წლიანი პაუზის შემდეგ მომღერალი ბაკურ ბურდული მონატრებულ მსმენელს ახალი ალბომით დაუბრუნდა.

— ფეთქავს, თან როგორ, ეს გული, როცა გხედავს შენ... — ეს არის ამონარიდი მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიმღერიდან „ფეთქავს“, რომელსაც დღესაც ათასობით მსმენელი ჰყავს.

15 მარტს ჰარდ როკ კაფეში 10-წლიანი პაუზის შემდეგ ბაკურ ბურდული ახალი ალბომის პრეზენტაციას გამართავს და შეკრებილ საზოგადოებას, უკვე კარგად ცნობილ სიმღერებთან ერთად, ახალ მუსიკალურ კომპოზიციებსაც შეუსრულებს.

# დადიანების სასახლეში ჭერი ჩამოინგრა



ზუგდიდში, ეკატერინეს სასახლეში, ჭერი ჩამოინგრა. შემთხვევის შედეგად სასახლეში დაცული ჭურჭელი დაზიანდა.

— გამთენიისას დაცვამ გაიგო ხმაური და ნახა, რომ ჭერი ჩამოინგრა იმ დარბაზში, სადაც დადიანების ჭურჭელია გამოფენილი. მოხვდა მაგიდის კიდეს და დაზიანდა 5 ექსპონატი, თუმცა ყველა ექვემდებარება რესტავრაციას. ეკატერინეს სასახლე ამორტიზებულია და ჭერის ჩამონგრევაც ამან გამოიწვია. სასახლის რეკონსტრუქცია აპრილში დაიწყება, — განუცხადა ჟურნალისტებს მუზეუმის დირექტორმა ლილი ბერაიამ.

# აღმოჩენა ტაო-კლარჯეთში



კვლევის ცენტრმა ტაო-კლარჯეთში არსებული აქამდე უცნობი ტერიტორიები მოინახულა და უძველესი ქართული ხელნაწერები აღმოაჩინა:

— ჩვენმა საექსპედიციო ჯგუფმა ტაო-კლარჯეთში ქართული ხელნაწერების ფრაგმენტებს მიაკვლია. „საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის“ ექსპედიცია ლევან წიქარიშვილის, შალვა კოღუაშვილის, ბებურ გოზალიშვილისა და ანა იმედაშვილის შემადგენლობით თანამედროვე მდგომარეობის აღწერისა და ფოტოფიქსაციის მიზნით ვაჩეძორის მონასტერში იმყოფებოდა.

მონასტრის ტერიტორიაზე მუშაობისას გაგვეცნო ადგილობრივი მონადირე, რომელმაც გადმოგვცა ხელნაწერების ოთხი ფრაგმენტი. მისი მონათხრობით, ფრაგმენტები 2012 წელს მონასტრის სიახლოვეს, მღვიმეში უპოვია.

საექსპედიციო ჯგუფმა ვაჩეძორის მონასტრის ჩრდილო-დასავლეთით, 2 კილომეტრზე, რთულად მისადგომ მაღალ კლდეებში მღვიმეთა კომპლექსს მივაკვლიეთ, სადაც 10-ზე მეტი მღვიმეა.

ერთი მათგანი წარმოადგენს დიდ მღვიმეს, რომლის წინა ნაწილი ამოშენებულია სქელი კედლით, მღვიმეში აღმოჩნდა ხის და კერამიკის ნივთების ფრაგმენტები, ასევე, საგანგებოდ დამზადებული ორი სხვადასხვაგვარი ტყავის ზონარი, სავარაუდოდ, ხელნაწერების ასაკინძი. აქვე აღმოჩნდა კანდელის უღელი.

მღვიმის შესასვლელთან, კლდეზე, მარჯვნივ, მარტივი ხელწერით, წითელი საღებავით შესრულებულია ეკლესიის მაკეტი, თავზე სამი ჯვრითა და შიგ ჩახატული მეოთხე ჯვრით, გვერდით არის ხის გამოსახულებაც.

ზოგიერთი მღვიმე ერთმანეთს გვირაბით უკავშირდება, ზოგ მათგანზე, ფრიალო კლდის გამო, ასვლა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე ვერ მოხერხდა, ერთ-ერთ მღვიმეში აღმოჩნდა წყლის ავზიც.

შესაძლებელია, აღნიშნული მღვიმეთა კომპლექსი მონასტრის განძსაცავი ყოფილიყო.

ხელნაწერების პალეოგრაფიულ ანალიზზე პროფესორი თემო ჯოჯუა მუშაობს.

# ოთარ მაღრაძე 65 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს



მუსიკოსი, თბილისი ბიგ ბენდის წევრი ოთარ მაღრაძე 65 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს.

4 მარტს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის საერთაშორისო კულტურის ცენტრ „მუზაში“ ჩატარდება საიუბილეო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ჯაზის ცნობილი ქართველი მუსიკოს-შემსრულებლები.

ოთარ მაღრაძის საიუბილეო საღამოზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## მექსიკელი ციხეში არშემდგარი მკვლელობისთვის იჯდა

მექსიკის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო მამაკაცი, რომელიც უკვე 18 წელზე მეტია, მკვლელობაში ცრუ ბრალდების გამო ციხეში იმყოფება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისი „მსხვერპლი“ ცოცხალი და სრულიად ჯანმრთელია.

2000 წელს მანუელ გერმან ვალდოვინოსი მეხიკოს შტატის ქალაქ ტექსაპანში მუსიკის მასწავლებლად მუშაობდა. 26 მაისს, როდესაც ის მეუღლესთან ერთად ბავშვის დაბადების ერთი თვის თავს აღნიშნავდა, მის სახლში შეცვივდა კომანდოსის რვა მებრძოლი. მათ მამაკაცს სცემეს, ხელბორკილები დაადეს და პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. მათ მანქანებს არ ჰქონია სანომრე ნიშნები, ასევე მათ არ წარუდგენიათ დაპატიმრების ორდერი. 22 წლის ვალდოვინოსი ჯაჭვებით მილზე მიაბეს, აწამეს ელექტროშოკით და მისგან მოითხოვდნენ დანაშაულის აღიარებას, რომელიც არ ჩაუდენია.



მამაკაცს თავისი ნაცნობის მანუელ მარტინეს ელიზალდეს მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. მუსიკის მასწავლებელმა, იცოდა რა მისი ოჯახის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ, მას რამდენიმეჯერ ფინანსური დახმარება გაუწია.

მექსიკელი ამტკიცებს, რომ ხალხმა, რომელმაც ის დააპატიმრა, ეს ყოველივე მოკლულის მამის დავალებით 150 ათასი დოლარის სანაცვლოდ გააკეთა. მოგვიანებით მან სადაზღვევო კომპანიას მიმართა და შვილის დაღუპვის გამო კომპენსაციის სახით მილიონი დოლარი მიიღო. თუმცა დაპატიმრებული მექსიკელი და მისი მეუღლე ამტკიცებენ, რომ ელიზალდე არ მომკვდარა. ის გადავიდა აშშ-ში და იქ სახელთან და გვართან ერთად გარეგნობაც შეიცვალა. მათი თქმით, „მოკლული“ ხშირად სტუმრობს მამას მიღებული დაზღვევის თანხით აშენებულ ბინაში.

ვალდოვინოსი ამტკიცებს, რომ ყველა მტკიცებულება მის წინააღმდეგ გაყალბებულია. „ელიზალდეს სხეულს“ კანის სხვაგვარი შეფერილობა ჰქონდა, მისი სიმაღლე მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ასევე სხეულზე არ ემჩნეოდა ის იარები, რომლებიც „გარდაცვლილს“ ჰქონდა.

პატიმრობის 18 წლის განმავლობაში მამაკაცმა და მისმა მეუღლემ ყველა სასამართლო ინსტანციასა და ქვეყნის ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციას მიმართეს, 2015 წელს — ქვეყნის იმჟამინდელ პრეზიდენტ ენრიკე პენია ნიეტოსაც კი, თუმცა პასუხი არ მიუღიათ.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ მამაკაცის საქმის გამოძიება ჩაატარა და მისი დაცვის დადგენილება მიიღო. თეორიულად ვალდოვინოსი ციხიდან მეხიკოს შტატის სასამართლოს მიმართ რეკომენდაციის შემდეგ უნდა გამოვიდეს. სასამართლომ ასევე მოითხოვა სანქციების გატარება დამნაშავეებისა და პოლიციელების მიმართ, რომლებიც მამაკაცს აწამებდნენ.

— დამტკიცდა, რომ ადამიანი, რომელიც თითქოსდა ჩემმა ქმარმა მოკლა, ცოცხალია, ასე რომ, მისი ბრალდება ძალადაკარგულია. მე ვითხოვ სამართლიანობასა და ჩემი მეუღლის გათავისუფლებას, — განაცხადა ვალდოვინოსის მეუღლემ.

## შოტლანდიელი გასარუჯი საშუალების ინექციის შემდეგ 22 საათი ერექციას ებრძოდა

გასარუჯი საშუალების გადამეტებულად მოხმარებამ შოტლანდიის მკვიდრი საავადმყოფომდე და დროებით იმპოტენციამდე მიიყვანა.

41 წლის მამაკაცი ბოდიბილდინგის მოყვარულების მაღაზიაში რეგულარულად ყიდულობდა მელანოტან-2-ს – წამალს, რომელიც ხელს უწყობს ცხიმების წვას და იწვევს კანის ისეთ პიგმენტაციას, როგორც ეს გარუჯვის დროს ხდება. წამლის არც შეფუთვა და არც გამყიდველი მყიდველს არ აფრთხილებდა, რომ მის ერთ-ერთ ნეგატიურ ეფექტს პრიაპიზმი წარმოადგენდა. დიდ ბრიტანეთში ამ საშუალების გაყიდვა აკრძალულია.

მიუხედავად სწორი დოზირების არარსებობისა, შოტლანდიელი რამდენიმე თვის განმავლობაში იკეთებდა მელანოტან-2-ს ინექციას. მისი თქმით, თავად შედეგით კმაყოფილი იყო, სანამ მორიგმა ინექციამ მასში ხანგრძლივი მტკივნეული ერექცია არ გამოიწვია. მამაკაცმა მისი ჩახშობა ყინულის დახმარებით ცადა, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. 22 საათის შემდეგ ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ნორმალური სისხლის მიმოქცევის აღსადგენად მამაკაცს ყოველ ხუთ წუთში გენიტალიებში ფენილეფრინის ინექციას უკეთებდნენ. ექიმები არ გამორიცხავდნენ, რომ პრობლემის გადასაწყვეტად, შესაძლოა, ქირურგიული ჩარევა გამხდარიყო საჭირო, თუმცა ნახევარი საათის შემდეგ ერექცია გაქრა. ამ შემთხვევის შემდეგ მამაკაცს ოთხი კვირის განმავლობაში ერექტილური დისფუნქცია აღენიშნებოდა.



## ელისაბედ II-ის ხელზე ჰემატომა შენიშნეს



ბრიტანულმა ტაბლოიდებმა ყურადღება მიაქციეს დედოფალ ელისაბედ II-ის ხელზე წარმოქმნილ მსხვილ ჰემატომას.

მარცხენა ხელის მტევნის გარეთა მხარზე არსებული ჩალურჯება ჩანს ოფიციალურ ფოტოსურათზე, რომელიც ელისაბედ II-ისა და პრინცესა ანას იორდანიის მეფე აბდალა II იბნ ჰუსეინთან, მის მეუღლე დედოფალ რანიე ალ-აბდულასა და ტახტის მემკვიდრე პრინც ჰუსეინ იბნ აბდალასთან შეხვედრის დროს არის გადაღებული. ბუკინგემის სასახლემ ჰემატომის წარმომავლობის თაობაზე კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ივნისში ავადმყოფობამ შეუშალა 92 წლის დედოფალს ხელი, წმინდა მიხეილისა და გიორგის ორდენის 200 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ წირვას დასწრებოდა. ერთი თვით ადრე კი მან კატარაქტის ოპერაცია გაიკეთა.

## უბრალო კოცნამ ბავშვს სახე დაუმახინჯა



დიდ ბრიტანეთში ბავშვი საავადმყოფოში კოცნის მერე წარმოქმნილი ჰერპესის გამო აღმოჩნდა.

ინციდენტი ჯერ კიდევ იანვრის შუა რიცხვებში დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ სოლფორდში მოხდა. ლორნა ჰოიმ შვილის, სახელად კალოს სხეულზე მრავლობითი გამონაყარი შენიშნა და მაშინვე საავადმყოფოში მიიყვანა. 27 წლის დედამ არაერთხელ მიმართა ექიმებს, თუმცა ექიმებმა მხოლოდ მესამედ გასინჯვის დროს დაუსვეს ბავშვს ჰერპესის დიაგნოზი.

ექიმების ვარაუდით, ბავშვს დაავადება კოცნის შედეგად გადაედო.

— მას პირის ღრუში წყლული აღმოუჩინეს და ინფექციის თვალებზე გავრცელების შესაჩერებლად წამლებს უკეთებდნენ, — იხსენებს ლორნა, — მსმენია, რომ ბავშვები ამ დაავადებისგან იღუპებიან. ვფიქრობ, კალო მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ იმ მომენტისთვის თითქმის ორი წლის იყო.

ექიმებმა ბავშვს დროულად აღმოუჩინეს დახმარება, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა ნორმალური გახდა. ლორნას თქმით, კალოს სახეზე იარები დარჩა.

## პოლიციელმა, რომელიც ცოფიან მელას გაურბოდა, ტყვია მკერდში დაიხალა



ამერიკის ნიუ იორკის შტატის ვავორსინგის დასახლებულ პუნქტში პოლიციელმა შემთხვევით იმ დროს დაიხალა ტყვია მკერდში, როდესაც ცოფიან მელას გაურბოდა.

პოლიციის 24 წლის თანამშრომელი ჰაროლდ ნანუვერო ვავორსინგში ცოფიანი მელიის თაობაზე შესული შეტყობინების შესამოწმებლად ჩავიდა. როდესაც ცხოველს გადააწყდა, მელა მას თავს დაესხა. ნანუვერო შეეცადა, გაქცეულიყო და ღობეს გადაახტა, მაგრამ ფეხით გამოედო და მიწაზე დაეცა. დაცემის დროს მისმა პისტოლეტმა გაისროლა.

ტყვია პოლიციელს მკერდში მოხვდა, მაგრამ ის ჯავშანჟილეტმა გადაარჩინა. ნანუვეროს პირველადი სამედიცინო დახმარება საავადმყოფოში აღმოუჩინეს, ხოლო ცოფიანი მელა მისმა კოლეგამ მოკლა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

## მელიტა კვერნაძის მონატრება



ორმოცი დღე გავიდა, რაც დაგვტოვე, ჩვენო მელიტა! დღეს შენ უფალს მიეახლები, ხოლო ჩვენ, შენი მეგობრები, გულმხურვალედ შევთხოვთ მას, თავისი ნათელი ჩრდილის ხილვის ღირსად გცნოს.

როგორ შევმცირდით! სკოლის დამთავრებიდან ორმოცი წლის შემდეგ უკვე შეჭაღარავებულმა ბებიებმა კვლავ მოვძებნეთ ერთმანეთი და ეს შეხვედრები ტრადიციული გავხადეთ. მოუთმენლად ველოდით ამ შეკრებებს, ისევ ბავშვებად ვიქცეოდით და ვხარობდით. რა ლაღი, მხიარული და გულღია იყავი მაშინ!

ბედნიერი ოჯახი გქონდა, ბედის უკუღმართობით ჯერ მეუღლე და შემდეგ ქალიშვილი რომ არ დაგეკარგა. შვილისა და შვილიშვილების წინაშე პასუხისმგებლობამ გაგაძლებინა. ასე ჩანდა, თორემ დედის გულს რა გაამთელებდა. არ წუწუნებდი, შენს ტკივილს სხვებს თავს არ ახვევდი.

ამაყი და ამპარტავანი არასდროს ყოფილხარ, თუმცა, ამის მიზეზი და საშუალება ყოველთვის გქონდა. სხვის გასაჭირს გვერდს არასდროს აუქცევდი, გამკითხავი და გულუხვი იყავი. ჩვენც ყოველთვის ასეთს მოგიგონებთ!

ძალიან დაგვაკლდები, ძალიან მოგვენატრები, ჩვენო მელიტა!

ღმერთს ებარებოდეს შენი ნათელი სული, საყვარელო, კეთილო და უანგარო მეგობარო. ყოველთვის გვემახსოვრები!

*შენი თანაკლასელები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

4 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6736 |
| ევრო | 3.0415 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.5420 |
| 100 რუსული რუბლი | 4.0624 |

## ამინდის პროგნოზი 4 მარტისთვის




„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
„მე მიყვარს კითხვა“




26 თებერვლიდან
თედო რაზიკაშვილი
მოთხრობები
ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი




5 მარტიდან
ჟიულ ვერნი
იდუმალი კუნძული
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

„ახალი თაობა“
წარმოგიდგენთ სერიას
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

1 მარტიდან
შოდერლო დე ლაკლო
სახიფათო კავშირები
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




## ქალმა ათასობით ფუნტი მეგან მარკლის გარეგნობისთვის დახარჯა



ამერიკის ტეხასის შტატის მკვიდრმა ქალბატონმა ლიპოსაქცია გაიკეთა და ცხვირის ფორმა შეიცვალა, რათა გარეგნობით სასექსის ჰერცოგინია მეგან მარკლს დამსგავსებოდა.

ქსოჩაიტლ გრირი მესამე შვილის, გოგონა ისლის დედა ორი წლის წინ გახდა. მაშინ 36 წლის ქალმა აღიარა, რომ მორიგი მშობიარობის შემდეგ საკუთარი ფიგურითა და გარეგნობით უკმაყოფილო იყო. ის ერთგვარ ექსპერიმენტებს ატარებდა კოსმეტიკითა და ტანსაცმლით, თუმცა, მისი აზრით, მაინც სათანადოდ ვერ გამოიყურებოდა.

გრირი აღფრთოვანებული იყო სასექსის ჰერცოგინიას სილამაზით, ელეგანტურობითა და გემოვნებით და 2018 წლის ნოემბერში გადაწყვიტა, გარეგნობა კარდინალურად შეეცვალა. ქირურგებმა რინოპლასტიკა, მუცლის ლიპოსაქცია, თეძოების, დუნდულების დაჭიმვის პროცედურები ჩაუტარეს, ასევე სახის კანში ბოტოქსის ინექცია შეუყვანეს, რათა მრავალშვილიანი ქალი გარეგნობა მეგან მარკლის გარეგნობისთვის მიეახლოებინათ.

ქალმა 19 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

– ახლა ვიყურები სარკეში და თავს ისევ ბედნიერად ვგრძნობ. ეს ისევ მე ვარ, მხოლოდ გაუმჯობესებული ვერსიის, – განაცხადა ამერიკელმა ქალბატონმა, – რა თქმა უნდა, მე მეგან მარკლის ზუსტ ასლს არ წარმოვადგენ, მაგრამ ახლა ჩვენ უფრო მეტი საერთო ნაკვთები გვაქვს, ჩვენი ცხვირები ნამდვილად ერთნაირია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

●●●

ქუჩაში სეირნობის დროს სტუდენტი თავის ლექტორს შეხვდა, რომელმაც ის წინა დღეს გამოცდაზე ჩაჭრა, და ესალმება:

– გამარჯობათ!

– მე დებილებს არ ვესალმები, – უპასუხა ლექტორმა.

– აი, მე კი ვესალმები.

●●●

მამაკაცი ქალს ეუბნება:

– ძვირფასო, მე შენმა სიყვარულმა ოკეანე გადმომაცურინა!

– ოთხი წელი მოცურავდი?!

– ქარიშხალი იყო და...

●●●

ახალგაზრდა მამაკაცი ექიმს შესჩივის:

– ექიმო, ცოლთან საწოლში პრობლემები მაქვს.

– საწოლში როგორი განლაგება გაქვთ?

– მარჯვენა გვერდზე ვწევარ, მაგრამ არაფერი გამომდის.

– მაშინ მარცხენა გვერდზე ცადეთ.

– რა, სახით დედისკენ?

●●●

ესპანელი ღვინის ბოთლით ხელში სასტუმროში რუსი ქალის ნომრის კარზე აკაკუნებს. ქალი კითხულობს:

– ვინ არის?

– ხუან კარლოს ემანუელ და სილვა.

– შემოდით, მხოლოდ სათითაოდ.

●●●

ჰოლმსი ვატსონს ეუბნება:

– ექიმო ვატსონ, ვხედავ, დღეს თქვენ ქუჩაში შემთხვევით ფეხი განავალში ჩაგიდგამთ.

– აი აქ კი თქვენმა დედუქციურმა მეთოდმა გიმტყუნათ, ჰოლმს!

– ეგ როგორ?

– როგორ და ფეხი შემთხვევით კი არა, სპეციალურად ჩავდგი.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

– შენს მეგობარ მამაკაცს რატომ დაშორდი?

– რატომ და სახლში მთელი კედლები სანადირო თოფებითა და ნანადირევის ფიტულებით აქვს მოფენილი.

– და მერე რა?

– რა და ყოველ მისვლაზე ჩემო ყურცქვიტაო, მეძახდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## შვიდი წელი ექიმებს ტვინის სიმსივნე შაკიკი ეგონათ



ამერიკელმა ქალბატონმა სასამართლოში სარჩელი იმ ოთხი საავადმყოფოს წინააღმდეგ შეიტანა, რომლის ექიმებიც მისი თავის ტვინის სიმსივნეს შაკიკად მიიჩნევდნენ. ის კომპენსაციის სახით ათ მილიონ დოლარს ითხოვს.

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ იუჯინის მცხოვრებმა ერიკა ფლეტსმა პირველად საავადმყოფოს 2010 წელს თავის ტკივილისა და თვალებში დაბნელების ჩივილებით მიმართა. ექიმებმა მას მკურნალობა დაუნიშნეს, თუმცა ამას შედეგი არ გამოუღია.

2012 წელს მან თავის ტვინის კვლევა ჩაიტარა. ქალის მტკიცებით, სკანირებისას უკვე მაშინ იყო შესამჩნევი ტვინის სიმსივნე, თუმცა მკურნალ ექიმებს ის არ შეუნიშნავთ. მას კვლავაც აწუხებდა თავის ტკივილები და ტკივილის შემოტევას კეფაში უროს ჩარტყმას ადარებდა.

ორი წლის შემდეგ ფლეტსი ისევ ჩაეწერა ექიმთან მიღებაზე. მან მის მიერ აღწერილი სიმპტომები მოისმინა და ყოველგვარი შემდგომი გამოკვლევის გარეშე გამოუწერა წამალი კუნთების დაძაბულობის მოსახსნელად.

2017 წლის თებერვალში ქალმა იმავე სიმპტომებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილებას მიმართა. იქ ქალმა ექიმებს შესჩივლა პულსირებადი თავის ტკივილის, გულისრევის, სახის მარჯვენა ნახევრისა და ხელის წართმევის, მარჯვენა თვალში მხედველობის გაუარესების თაობაზე. ექიმებმა დაასკვნეს, რომ მას შაკიკის არასტანდარტული ფორმა ჰქონდა და პაციენტი სახლში გაუშვეს.

ამას სპეციალისტებისთვის უშედეგოდ მიმართვები მოჰყვა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კი ყოველდღე უარესდებოდა. ადრინდელ ჩივილებს უკვე დაემატა ტკივილების შეგრძნება მხრებისა და ხერხემლის არეში.

2017 წლის მაისში ქალი თვალის ექიმთან მიღებაზე ჩაეწერა, რომელმაც მისი თვალების გასინჯვის შემდეგ სპეციალურ გამოკვლევაზე გააგზავნა.

ფლეტსს უზარმაზარი სიმსივნე აღმოუჩინეს და მისი მოსაშორებლად სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა. მიუხედავად იმისა, რომ სიმსივნის 80 პროცენტი ამოკვეთეს და მისი შემცირება გრძელდება, ქალი ჯერ ისევ განიცდის თავის ტკივილებს და დამატებით მკურნალობას საჭიროებს.

## ლატარიის გამარჯვებული უყურადღებობის გამო მილიონს დაკარგავს



ამერიკის მიჩიგანის შტატში ვერ იპოვეს ლატარია მეგამილიონის გამარჯვებული, რომელმაც მილიონი დოლარი მოიგო.

დაახლოებით ერთი წლის წინ უცნობმა პირმა ქალაქ იპსილანტის აფთიაქში შეიძინა ლატარიის ბილეთი. ლატარიის გათამაშება 2018 წლის 2 მარტს გაიმართა და მის მიერ მონიშნული ციფრები ამოვიდა. მოგების მისაღებად გამარჯვებული შტატის დედაქალაქ ლანსინგში მდებარე ლატარიის შტაბ-ბინაში უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ მას ეს დღემდე არ გაუკეთებია.

მოგების მისაღებად 12 თვეა გამოყოფილი. ლატარიის გამარჯვებულს ძალიან ცოტა დრო დარჩა თავისი მოგების მისაღებად. თუ ის მოგებულ მილიონს 4 მარტამდე არ მიიღებს, მაშინ ეს თანხა მიჩიგანის შტატის სკოლების დახმარების ფონდს გადაეცემა.

## პოლიციელმა ძაღლის გადასარჩენად სიცოცხლე არ დაიშურა



ამერიკის მონროს ოლქის პოლიციის განყოფილების თანამშრომელმა საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო ყინულზე გაჭედილი ძაღლის გადასარჩენად. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეორგოლი ტვიტერში პოლიციის განყოფილების გვერდზე გამოქვეყნდა.

ინციდენტი რამდენიმე დღის წინ ღამის საათებში მოხდა. უცნობმა პოლიციაში დარეკა და ძაღლის დაღუპვის თაობაზე აცნობა. კადრებზე, რომელიც პოლიციის სერჟანტის ტრევის გრეის მკერდზეა დამაგრებული, ჩანს, რომ ის მარტოდმარტო ცდილობს თხელ ყინულზე ცხოველამდე მიღწევას. ამ დროს ის ყინულის სიმაგრეს ლითონის ხელჯოხის დახმარებით ამოწმებს.

ბოლო წამს მამაკაცი ფრთხილად ეშვება მუხლებზე და მარცხენა ხელით ცხოველი ყინულიანი წყლიდან ფრთხილად ამოჰყავს.

– ძაღლი ძალიან იყო გაყინული და შეშინებული, თუმცა მალე მოვიდა გონს, – დაწერა ვიდეოს კომენტარში პოლიციის თანამშრომელმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ზღვის წვრილი თევზი; 5. დიდი კრემიანი ნამცხვარი; 7. ორი არამეზობელი ბგერის სწრაფი მონაცვლეობა ან რაიმე ბგერის ძალიან სწრაფად გამეორება; 9. თავშესაფარი თხრილი ომის დროს, საიდანაც ისვრიან; 10. სიტყვის სუფიქსი, პრეფიქსი ან ძირი (ლინგვ.); 13. ვასილ ... (მწერალი); 14. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 15. ქამანდი; 19. გრძელ დისტანციებზე მორბენალი ან მოცურავე სპორტსმენი; 20. რისამე ნაირსახეობა; 21. სარქველი გემის წყალქვეშა ნაწილში; 22. ახლომხედველობა.

**შვეულად:** 1. ცოლისდის ქმარი; 2. დამღა; 3. სპილენძის სასულე საკრავი; 4. ალგორითმული ენა; 6. გამომწვარი ფერადი თიხა; 8. სისხლის შენადედი სისხლძარღვში; 11. ქვის, აგურისა და მისთ. შენობის მშენებელი ხელოსანი; 12. ვაჭრობის სახეობა; 16. ზოდიაქოს ნიშანი; 17. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა; 18. აფრიკული ხანჯალი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

